

სოციალისტური



№ 16

სოციალისტური ჟურნალი

№ 16

რედაქცია და კანტორა

ტფილისი, პლესანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.

ფ ა ს ი

5 კაპ. მაგალო ოქროთი

რედაქცია და კანტორა

ლიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმნისა ვალის 8 ს. შუად. 1 ს. დ.

25 აგვისტოს პოზიციებზე.

დღეს ყველასთვის აშკარაა, რომ 25 აგვისტოს პოზიცია იყო მართალი.

როცა 17 ათასი მუშის ტალღა მოსწვდა ძველ შემცდარ გზას და მტკიცედ დადგა ახალ გზაზე, ზოგიერთებმა ამას შეხედეს უარყოფითად.

და ძველ გზაზე დგომასი ისინი ხედავდნენ თავიანთ ერთგვარ რევოლუციონერ სიმტკიცეს. მაგრამ მათ ავიწყდებოდათ, რომ საჭიროების დროს რევოლუციონერებს შეუძლია დღე-ღამეში 24-ჯერ გამოცვალოს ტაქტიკა. და ცუდია, არ ვარგა ის რევოლუციონერი, რომელიც ფანტატიკურად ხელს ჩაჰკიდებს ერთ პოზიციას და მას არ მოშორდება მაშინაც კი, როცა ყველასთვის აშკარაა ამ პოზიციის უვარგისობა.

ასეთი რევოლუციონერი კარგავს რევოლუციონერის სახელს და მისდაუნებურად ხდება რევოლუციის მოწინააღმდეგეთ.

ასე მოუვიდა ბევრს იმათგანს, რომლებიც მენშევიკური პარტიის ქაობს იქეთ ვერ ხედავდნენ რევოლუციას.

მაგრამ დღეს ამათგან ბევრი აღწევს თავს ამ ქაობს.

მენშევიკური ინტელიგენცია, რომელიც წინეთ ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ ისინი ჩამორჩენ მუშებს სწორი გზის გამოჩვენებაში, როგორც სჩანს, დღეს განზე სდგან თავმოყვარეობის საკითხს და ისიც სტოვებს, თავს ანებებს მენშევიკებს.

მაგრამ, სამწუხაროთ, ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ვერ მისულა იმ 17 ათას მუშასთან, რომლებიც დადგნენ კომინტერნის დროშის ქვეშ.

ინტელიგენტური ძალები ანებებენ თავს მენშევიკური პარტიის, აშკარად აღიარებენ მენშევიკების მიერ რევოლუციონერი გზის დაკარგვას. ამართლებენ კომუნისტებს, მაგრამ ერთ-

გვარი თავმოყვარეობა მათ არ აძლევს საშუალებას შეურიგდნენ იმ აზრს, რომ მათზე ადრე მუშებმა გამოჩვენეს სწორი გზა.

ამიტომ ეს ხალხი ეხლა იწენს ორიგინალობას და ქმნის რაღაცას ახალ ფორმებს.

ამ ორიგინალობით მათ სურთ გაიმართლონ თავი თუ რატომ თავის დროზე არ მოვიდნენ მუშებთან.

მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ მუშებთან ჩამოშორება, მოწყვეტა იმ მასივთან, რომელმაც თავისი მუშური ინსტიტუტით გამოჩინა მუშათა კლასისთვის საჭირო — და სასარგებლო გზა, არის მათი სრული გარყევა რევოლუციის გზიდან.

ისინი დღეს აშენებენ სახლს ქვეშაზე.

მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ ქვეშაზე აგებულ სახლს ქარი წაიღებს.

დროა თავი დაანებონ მიკიბულ-მოკიბული გზით სიარულს და სთქვან, სიმართლე, დაადგენ სწორს გზაზე. გვერდში ამოუდგენ 17 ათას მუშას და ახალგაზრდა მეტძობო.

ნუ შეყავთ ნურავინ შეცდომასი!..

ნუ უშლიან ხელს ნურავის მტკიცე გზაზე სიარულში!..

ნუ უბრუნდებენ მუშებს გზას მიკიბულ-მოკიბული, შიხვეულ-მოხვეული ბილიკებისაკენ მითითებით.

ყოფილ მენშევიკებმა 25 აგვისტოს მიიღეს ოქტომბრის დიდი რევოლუციის პოზიციები, რომელიც გაამართლა ისტორიამ.

და ვინც ამ პოზიციებს იქით ეძებს ახალ გზას, ის ჩაეარდება იმ მდგომარეობაში, როგორშიაც ამ სამი წლის განმავლობაში, იყო მთელი მენშევიკური პარტია 1921 წლის 10 აპრილის რეზოლუციის მეოხებით.

დროა ახალი გზის ავტორებმა დაანებონ თავი ქანაობას და აიბრჩიონ ორში ერთი:

— ოქტომბრის რევოლუცია ან კონტრრევოლუცია.

საშინილი გარეხი.

ჩვენ არა ერთხელ ვღვეინიწმინდეს, რომ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი (რასაკვირველია, ძალიან მცირე) განაგრძობს ქანაობას რევოლუციასა და კონტრ-რევოლუციის შორის. მას ასაზრდოებს ჯორები და ინტერვენციის მოლოდინი. ინტერვენციის მოლოდინში პირდაპირ სული ხდებათ. სიზმარშიაც და ცხადშიაც ეს „წყვეტილი“ ინტერვენცია ელანდებათ და ისეთი სულიერი ვანწყობილება იქმნება მათში, რომ ყოველგვარი ჯორი, ტყუილი ნამდვილ ამბავად ეჩვენებათ.

როდესაც ინგლისის მთავრობის პრემიერმა მაკდონალდმა იცნო საბჭოთა კავშირი, ინტერვენციის მომხრეებს გულზე ცივი წყალი გადაეხსათ, მაგრამ იმით დაიამედდნენ, რომ ეს ალბათ საქართველოზე არ ვრცელდება.

ჩვენ იმ თავითვე დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს ცნობა ვრცელდებოდა მთელ საბჭოთა კავშირზე. ის დეპეშა, რომელმაც ეს ცნობის ამბავი მოგვცა, არავითარ იქვენი არ ბადებდა ამ მხრივ. მაგრამ, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ჩვენებურ პატრიოტებს არ სურდათ სინამდვილე. ყოველ შემთხვევაში მათ არ უნდათ, რომ ეს დაიჯერონ და თავისივე ფანტაზიით სთხავენ ჯორებს.

მაგრამ ულმობელმა ცხოვრებამ არ დაინდო ისინი და ამ დღეებში რადიომ მოგვცა მანა შენდები ამბავი: მაკდონალდს შეეკითხნენ პარლამენტში: რომელ მიწა-წყალზე ვრცელდება კავშირის ძალა-უფლება. შეკითხვაზე მაკდონალდმა შემდეგი განაცხადა: ინგლისის მთავრობა სცნობს, რომ საბჭოთა ძალა-უფლება ვრცელდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებზე და ი. სჩანს, იქაც, საზღვარ-გარეთაც შედარებით იქვე. ნუ თუ მართლა გვიქნა ეს ოდნავ მაკდონალდმა და შეკითხვიან პარლამენტში.

მაკდონალდს გაუცია ღირსეული პასუხი. სხვანაირ პასუხს ვერ ვასცემდა. არა იმიტომ,



რომ ის მაცდინადაა, არამედ იმიტომ, რომ ის ინგლისის პრემიერია. სულ ერთია ასე ნიკიტოვად მის ადგილას სხვა ბურჟუაზიული მინისტრები.

ამრიგად უკანასკნელი იმედიც გაუქარწყლდათ შეურაცხველობის.

დამარცხდა ინტერვენციის იმედი. მეორე ინტერნაციონალმა იმედები გაუქრუვა მათ.

დამარცხდა სოც. დემოკრატია... დამარცხდა მეორე ინტერნაციონალიც. ის უკვე ვეღარ ინტერნაციონალიზდა. აბა როგორ შეიძლება ავტორიტეტი და მნიშვნელობა ჰქონდეს ისეთ ინტერნაციონალს, რომლის „პოლიტიკა“ დამარცხდა ყველა საკითხებში: რურის ოკუპაციის, გერმანიის რევოლუციის, საქართველოს „განთავისუფლების“, საბჭოთა კავშირის და მთელ რიგ სხვა საკითხებში.

დამარცხებული ინტერნაციონალის ჯარის ნაწილები დაიბნენ, დაიფანტნენ.

ასე მოუვიდა საქართველოს სოც. დემოკრატიადაც, რომელმაც უკანასკნელ წლებში განიცადა ყველაზე უსასტიკესი დამარცხება.

ამ დამარცხების გვირგვინია საბჭოთა კავშირის ცნობა ევროპის დიდ სახელმწიფოების ერთი საკმაოდ დიდი ნაწილის მიერ.

ამიერიდან შინაც კლიტე უნდა დაიღებენაზე საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგეებმა და ჩუმად, ნიანგის ცრემლები ღვარონ დამსხვრეულ იმედებზე და „ტკბილ“ წარსულზე.

ყველა ცოცხალი ელემენტები მენშევიკურ პარტიიდან და მომენშევიკო ხალხიდან უნდა ჩაებას საბჭოთა აღმშენებლობაში და წინ წასწიოს ქვეყნის აღორძინების საქმე.

სხვა გზა არ არის...

იმ ამხანაგებს კი, რომლებმაც აგვისტოში და მას შემდეგაც დატყვევებენ მენშევიკური პარტია და დაადგენ ახალ გზას, ვეუბნებით.

— მტკიცედ რევოლუციის სადარაჯოზე!

— ჩვენ მართალნი ვიყავით აგვისტოში და მართალნი ვართ დღესაც.

ყოველი დღე ჩვენს ნაბიჯებს ამართლებს, ადასტურებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი კიდევ უფრო ნათელს გახდის ჩვენს ნაბიჯებს.

გ. ვარდიანი.



კიდევ ერთი ახალი სწოების გაგო.

28 თებერვალს რადიომ გვამცნო, რომ ავსტრიის მთავრობამ იურიდიულად იცნო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

ამნაირად ის დიდი ყინული, რომლითაც იყო გარშემორტყმული რუსეთის ცნობის საკითხი, თანდათანობით დნება, რასაც ხელი შეუწყო უმთავრესად იმ გარემოებამ, რომ ევროპა დარწმუნდა იმაში, რომ მისი დანგრეული მეურნეობის აღდგენა შეუძლებელია გარეშე რუსეთის წყლით გასაღობა და ამიტომ რუსეთთან ეკონომიკური კავშირი წარმოადგენს იმ ერთად ერთ საშუალებას, რომლითაც შესაძლებელია ევროპის მიმდინებელ მაგის ცემის გამარჯობება. რაც შეეხება ასეთი მოკლე დროში დიდიდანი პირველ ინგლისის ცნობისა უკვე მეოთხე სახელმწიფო

ავხადებს სურვილს კეთილშობილური ურთიერთობის დამყარებისა, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ საბჭოთა დიპლომატიის მოხერხებულ განცხადებაში: რამდენად მეტს დააგვიანებს ესა თუ ის სახელმწიფო ჩვენს ცნობას, იმდენად ნაკლებ სარგებლობას მიიღებს რუსეთიდანო და ეს განცხადება საბჭოთა მთავრობამ უკვე განახორციელა, როდესაც დიდი ძალი შენაკვეთი ერთ-ერთ ფაბრიკატზე-ამერიკული ფირმისადმი მოხსნა და ინგლისის ფირმებს გადასცა შესასრულებლად—რაიც გამოწვეული იყო ინგლისის მიერ იურიდიულად ცნობის გამო.

ამნაირად საბჭოთა დიპლომატიის განცხადება „ვინც დააგვიანებს ჩვენს ცნობას—ის თვითვე იზარალებს“ გახდა ის ვაგარეგობული შანთი, რომელიც არაჩვეულებრივი სიჩქარით ალბობს იმ ყინულს, რომელიც საბჭოთა კავშირის ცნობას ეხვია.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვერსალის ზავს არც ერთ სახელმწიფოში არ მოუხდენია ისეთი დიდი ქირურგიული ოპერაციები, როგორც ეს მოხდა ყოველი ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში. თანახმად ვერსალის ზავისა იტალიას მიენიჭა ტიროლი და ტიესტის ნავთ-სადგურის ახლო მიდამო.

ჩებო სლოვაკიას: ბოგემია, მორავია, სილეზია.

პოლონეთს: ვალიცია და სილეზიის ნაწილი. სამხრეთ სლავიას: სლოვენია.

რუმინიას: ბუკოვინა.

ვენგრიიდან ავსტრიას მიენიჭა დასავლეთი ვენგრია.

ავსტრიას დაევალა მცირე ერების უფლებრივი უზრუნველყოფა, რომლებიც მის ტერიტორიაზე მოხდებოდა.

აგრეთვე მას დაევალა გადაიხდოს ყველა ის ზარალი, რომელიც მიანიჭა გამარჯვებულებს ომის დროს.

ერთი ბურჟუაზიული მეცნიერის ყოფილი იტალიეთის მთავრობის თავმჯდომარის სიტყვებში, რომ ვინმაროთ: „ავსტრიას არამთუ შეუძლია ამ ვალდებულებათა შესრულება, არამედ ძლიერ საექვეა შესძლოს ასეთ პირობებში არსებობაც კი—დღევანდელი ავსტრია შედარებით ყოფილ ავსტრო-უნგრეთთან წარმოადგენს 1/6 ნაწილს, ხოლო ყოფილ ავსტრიის იმპერიასთან კი 1/4 ნაწილს.“

ისე, როგორც სხვა სახელმწიფოების მრეწველობა—ავსტრიაიც დიდ კრიზისს განიცდის. თუმცა ახალი ავსტრია ნათლად გამოკვეთილი ტიპია სამრეწველო სახელმწიფოსი—მას აქვს მეტალურგიული, საქსოვი, ქიმიური, ხის დამამუშავებელი რ ტყეების დამამზადებელი მრეწველობები. ეს ყოველივე ისე ფართოდ გავრცელებულია რ თანაც ისე მაღლა დგას, რომ ნედლი მასალა იყო საკმაო იფადე, ავსტრიას შეეძლო დიდ ძალი სიმდიდრე შეექმნა. დღეს კი ავსტრიის ვალიუტის ძალზე დაცემის გამო ამის შექმნა გაძნელებულია.

1920/21 წლებში ავსტრია ასრულებდა საგარეო ვაჭრობაში შემაგვლის როლს აღმოსავლეთ და შუა ევროპის შორის. უმთავრესი, რაც მას გააქვს უცხოეთში, არის: ნახშირი, ტყე, რკინა, შაქარი, მანქანები, ბამბა და მატყლი, ჯერ კიდევ 1922 წელს ავსტრიის ჯალთ-

ტა დაკემულიყო 10.500 ჯერ, დღეს მით უმეტეს.

უკანასკნელად ინგლისმა ავსტრიას მისცა 5 მილ. გირვანქა სტერლინგი სესხი და მით ინგლისმა დააყენა უკანასკნელი თავის კანტროლის ქვეშ. უმთავრესი შემოსავლის წყარო იყო არა პირდაპირი გადასახადი უკანასკნელ სამ წელს და ამ ხრიკი თუ 1920 წ. სახელმ. შემოსავალი უდრიდა 1,9 მილიარდს 1922 წ. სახელმ. შემ. " 200—

პოლიტიკური ძალთა განწყობილების მხრივ ყველაზე უძლიერესი ქრისტიან. სოციალისტებში, შემდეგ სოციალ-დემოკრატები, გერმანიის სახალხო პარტია და შემდეგ კომუნისტები.

კომუნისტური პარტია დაარსდა 4 ნოემბერს 1918 წ. რევოლუციონერ ელემენტებთან. პარტიის წევრთა რიცხვი საბჭოთადად გახდა, როდესაც რუსეთიდან დაბრუნდნენ სამხედრო ტყვეები.

აგრეთვე დიდათ იზრდებოდა რიცხვი, როცა გვერდით არსებობდა საბჭოთა ზაგარია და საბჭოთა უნგრეთი.

1921 წ. კომუნისტ. პარტიას შეუერთდა ჩეხიის ცენტრალურ და სოციალისტური პარტიიდან ჩამოცილებული „მემარცხნე მუშათა პარტია.“ 1922 წ. მე 5 პარტ. სიეზზე წარმომდგარ იქნა 110 ორგანიზაცია 14.500 კაცის. არჩევნებში 1921 წ. კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 1,6% ამრჩევლების 27.607 ხმა, ხოლო 14.500 არის ფაქტურად გადამხდელ საწევრო გადასახადის წევრთა ჯამი.

ვერსალის ზავის წყალობით ევროპაში მოხდა დიდი დაქუცმაცება სამეურნეო ერთეულების, რომელთაც წინადა ქონდათ ერთი სახელმწიფოებრივი შენება. დამარცხებულ ქვეყნების მიმართ ვატარებული იქნა ნაციონალური პრინციპი მეტად მკაცრად, სამეურნეო თვალსაზრისი კი სულ დაივიწყეს. ავსტრია, რომელსაც წარათმეული აქვს ყოველგვარი წინამძღვრები დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის, არის მჭკრემტყველური მაგალითი ასეთი პოლიტიკის.

ევროპის თანამედროვე მდგომარეობის ერთი დიდი თანდნის ნიჭის სიტყვები რომ გავიმეოროთ: ავსტრიამ დაკარგა ყოველივე. მისი სატახტო ქალაქი-ყველაზე უფრო მზიარული ოდესღაც ევროპაში—წარმოადგენს დღეს თავშესაფარს ყოველგვარ რესურსებს მოკლებულ მოსახლეობის. მრეწველობის დაცემა, რომელიც იბრძვის წარმოუდგენელ დაბრკოლებებთან, კრედიტის არ ქონება, სრული შეუძლებლობა საგარეო ვაჭრობის წარმოების და განსაკუთრებით მის ირგვლივ მყოფ მტრულად განწყობილ სახელმწიფოებთან ავსტრიას ავდებს მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში და თანდათან გადაგვარების გზაზე აყენებს. განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობა განიცდის უმძიმეს ხელმოკლეობას და ტუბერკულოზის გავრცელება ემუქრება დღითი დღე!

ავსტრის მიერ ცნობა რუსეთის—საშუალებას მისცემს ამ დამარცხებულ ქვეყანას ხელსაყრელ პირობებში მიიღოს ნელის მასალა და ააღორძინოს თვისი მრეწველობა. ხოლო მეორეს მხრივ რუსეთთან კავშირი ხელს შეუწყობს ვერსალის ზავის პირობები შესცვალოს და თავის მდგომარეობა გააუმჯობესოს.

ა. კალაძე.

განუაზრების ლიკვიდაცია ს. ს. რ. კავშირში.

ექვეთი თვის წინათ საქართველოს მშრომელი ხალხი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენ-შევიკურ ფრტას გამოეყო.

ოდესღაც ძლიერი, საქართველოში გაბატონებული, მენშევიკური პარტია დაიშალა და მთელი აქტივი ამ პარტიის, მუშურ გლეხური მასის, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას დაადგა.

მაშინ სრულიად საქართველოს სალიკვიდაციო ყრილობამ ს. დ. მუშათა პარტიისა (მენშევიკებს) მიზნით დისახა სრულიად საქავშირო ყრილობის მოწვევა და გამოჰყო კიდევ ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ სპეციალური ბიურო.

მაგრამ, როდესაც ამხანაგები რუსეთში გაემგზავრენ და ადგილობრივ გაეცნენ პირობებს, აღმოჩნდა რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკური) რუსეთის სინამდვილეში უკვე კარგა ხანია, რაც გამჭრალა. მისი პოემა ძნელი შეიქნა, რადგან არსებობდა, როგორც ორგანიზაცია, ის უკვე აღარ არსებობდა, ხოლო თუ სადმე მოიპოვებოდა სოციალ-დემოკრატი მენშევიკი, ის აქტიურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ უკვე კარგე ხანია აწარმოებდა, ეს გასაგებიც არის.

სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიას რუსეთში ნიდაგეი ჰქონდა მოპოვებული უმთავრესად ქარხნის და წარმოებების მუშებში.

მისი გავლენა საწარმოო, პროლეტარიატში გრცელდებოდა უმთავრესად, ხოლო გლეხობაზე ამ პარტიას რუსეთის სინამდვილეში გავლენა არას დროს არ ჰქონია.

გასაგებია ამატომ, ის, რომ ქარხნისა და ფაბრიკების მუშები, ისინიც კი, ვინც მენშევიკებთან იყვნენ და მათ უმაგრებდნენ ზურგს, თანდათან დიდი რევოლუციისა და სამოქალაქო ომების პროცესში, გადავიდნენ პროლეტარიატის დიქტატურის დროშის ქვეშ და დატოვეს მენშევიკური პარტია.

სხვა გვართ არც შეიძლება მომხდარიყო, ოქტომბრის რევოლუციამ, რუსეთის პროლეტარიატს მწვავედ დაუსვა კითხვა ან — ან.

საშუალო გზა არ არსებობდა.

თვითუღ მუშას, თვითუღ პროლეტარს ან უნდა ერჩია თვითგვარდიელებთან თანამშრომლობა, მათთან მუშაობა, მათთვის დახმარების გაწევა და ბრძოლა პროლეტარიატის, თავის ძმების წინააღმდეგ ან და უნდა ერჩია ისევე მუშებთან ბრძოლა, მუშებთან ყოფნა, მათთან სიკვდილი ან გამარჯვება.

მუშისათვის, ფაბრიკისა და ქარხნის შეილისათვის, გადაჭრულ ბრძოლების დროს ორი პასუხი აქ არ შეიძლებოდა.

ის უსათუოდ პროლეტარიატს ოჯახს უნდა მიჰკვლიდებოდა, მასთან უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ამას მწვავედ მოითხოვდა მისგან მისივე ინტერესები და სინამდვილეც უკარნახებდა.

მართლაც რა უნდა ჰქონოდა საერთო მუშას, გენერლების კონტრ-რევოლუციონურ ხროვანთან? რა თქმა უნდა ისინი მათ წინააღმდეგ მებრძოლ, პროლეტარულ რაზმებში მოექცეოდნენ.

მეორე ლოდინი

ვით ჯემი სიზმარი ზამთარში. გაივლის სხელში ტკივილი: მოვიდა შათირი აქ ბარში—ლოცვა და ტირილი, ტირილი. შორეულ ამინდის ლოდინში, რაღაც ხმა მიწაზე ვარდებდა. უთუოდ იქნება ბოდიში—ვადაშლა ვარდებათ, ვარდებათ. აედარი: წვიმა და ქარები. ღრუბელი სავეა ტყეებით. სასახლე შენდება ქარებით—მოდიან რიგები, მწკრივები. იმედი ავიდა აღმართზე. მშენებელთ დარჩება სერიი. თუ მოვა შათირი აქ მათზე, გაემართოთ ზეიმი, ზეიმი.

ვაგნელი ბზიკი.

და ეს ასეც მოხდა.

რუსეთის დიდი რევოლუცია, წითელი ოქტომბერი ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა გამოატარა საკუთარ მხრებზე განსაცდელში და დღემდის მოიტანა.

ამ მძიმე ბრძოლებისა და შესლა-შემოხლის გზაზე, გაჰქრა, შეუშინველათ გაქარწყლდა მენშევიკური პარტია და მთელი ნაწილი მისი პროლეტარიატის დიქტატურის დროშის ქვეშ დაირაზმა.

ასე მოხდა რუსეთის სინამდვილეში, აი, მაგალითად, რას სწერს მოსკოვში გამგზავრებული საინიციატივო ბიუროს ერთ-ერთი წევრი: „ოდეს რუსეთში წმინდა მენშევიკურად მოაზროვნე და გარკვევით ამ პოზიციაზე მდგომი მუშა ძნელი საპოვნელია, ასე, მაგალითად, მოსკოვში მენშევიკური პარტიის ბურჯათ ასოთ-ამწყობები ითვლებოდნენ, განსაკუთრებით ცნობილი ამ მხრივ ყოფილი სიტინის სტამბის მუშები იყო, სადაც რამოდენიმე ათასეული მუშა ირიცხებოდა.

მაგრამ ამ სტამბის მასიურ კრებაზე, ანხ. ალ. ფარნიევის მოხსენების შემდეგ, ჩვენი ყრილობის შესახებ, არსად ნიშან წყალიც არ გამოჩენილა, რომ კაცს ეგრძო მენშევიკური განწყობილება.

პირიქით, კრება მოხსენებას დიდი ოვაციებით, თანაგრძნობით შეხვდა და ანხ. ფარნიევი ჰაერშიაც კი აქანაევს.

ასეა მოსკოვში.

მაგრამ არც მოსკოვს გარეთ სჩანს არსად ჩვენი ყოფილი თანამომე პარტია, — სწერს იგივე ამხანაგე.

— ტულა, მაგალითად, მდიდარი სამრეწველო პუნქტია, იქ 20 ათასზე მეტი სამრეწველო პროლეტარები მუშაობს. ამ ვიებერთელა მასსაში მხოლოდ 300 აღმოჩენილა ისეთი, ვინც დღემდის თავს მენშევიკად სთვლიდა ოფიციალურად, და ვინც სალიკვიდაციო ბიუროში გამოცხადებულა.

ამ დღეებში კი მოხდა უკრაინის ს. დ. მენშევიკურ პარტიის სალიკვიდაციო ყრილობა. ამრიგათ სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია მთელს ს. ს. რ. კავშირში ფორმალურადაც და სინამდვილეშიაც დაიშალა.

სრულიად საქავშირო ყრილობაც კარგაზეა მომდგარი.

ეს ყრილობა საბოლოოთ დადასტურებებს მომხდარი ფაქტს და მოუსპობს საშეილებებს შემდეგში იმუშაონ მისი სახელით იმათ, ვინც ბოროტათ სარგებლობდა დღემდის, ოდესღაც მის მიერ გაცემულ მანდატებით.

მე-2-ზე ინტერნაციონალს საგრძნობი ძალა გამოაკლდება, რომელსაც ის დღემდის ფორმალურად მაინც მაგრად ეყრდნობოდა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახით.

ამრიგათ დაამთავრა ცხოვრება და „მოდ-ვაწეობა“ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა (მენშევიკურმა) მუშათა პარტიამ.

საქართველოში მისი რიგები მუშათა და გლეხთა ფარგელ წრეებში დემონსტრირებულად, ერთბაშათ მიატოვა, ხოლო რუსეთში ეს პროცესი თანდათანობით და უმტკივნელოთ ჩატარდა.

ვ. კორნოშელი.



საზრანგეთი დ. ს. ს. რ. კავშირში.

ევროპაში ახალმა ნიავმა გაიქროლა. დახვსებულ, გადაგვარების გზაზე შემდგარ კაპიტალის ქურუმთა ტენის გრეხილებში ახალი კომბინაციები ჩაისახა შექმნილ რთულ მდგომარეობისაგან გამოსასვლელათ.

ბატონობისა და შეიარაღებული თიედანხმების გზა უარყოფილი იქნა და ს. ს. რესპუბლიკების კავშირთან ურთიერთობის განახლების გზას დაადგა ინგლისი, იტალია, ნორვეგია და სხვა წერილი სახელმწიფოები.

აქ მეტი სარგებელი აღმოჩნდა, ვიდრე დაუსრულებელ ფლანგვაში გაბოროტებულ კონტრ რევოლუციის დასახმარებლათ.

უკვე ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფომ შეიგნო, რომ ჩვენთან ბრძოლით ვერას გახდებოდა, რომ ჩვენ საქმათ მაგრათ გვიდგა ფეხი და აგრე იოლათ არ ვაპირებთ ბრძოლის ასპარეზის მიტოვებას.

მით უკეთესი.

ჩვენც და მათაც ნორმალური ურთიერთობის აღდგენა გვჭირია.

ეს საშვალეებს მოვცემს ჩვენ გაეჯანსაღოთ ჩვენი წარმოება და მეურნეობა, გადავისროლოთ ძველ ბაზარზე ნედლი მასალა, ამოვავსოთ „მეკატლის“ პირებს შუა არსებული უფსკრული, ხოლო დასავლეთს კი ჩვენთან ურთიერთობის განახლებით კარები ეხსენება ფართო ბაზრებისაკენ საკუთარი ფაბრიკების გასასაღებლათ. *)

ახალი ნიავი, რომელიც ეხლა ჰქრის დასავლეთის სახელმწიფოებში, გაჰფანტავს შეკუმშულ მძიმე ატმოსფერას ყველგან, სადაც მისწვდება მისი გაქროლება და გასწმუნდს მას ზედქეტი, ჰაერის მომწამლავ სიბინძურისაგან.

*) მართალია მუშურ გლეხური სახელმწიფო არ მოსცემს მათ თივისფალ თარემის საშვალეებს, მაგრამ რა გვართაც არ უნდა იქნეს შეზღუდულ ევროპის კაპიტალი, მისთვის მაინც დღდათ ხელსაყრელი იქნება ჩვენში შემოსვლა, ვინაიდან სხვა გასაღები მას არ თეპოვება.

მეგრამ ყველგან მიაღწევს კი ეს მაცოცხლებელი ნიავი?

შესძლებს კი ის გადალახოს ევროპის შუა გულში აღმართული მაღალი კედლები, რომელიც რეაქციონერ საფრანგეთის ირგვლივ არის შემოკლებული?

იმპერიალისტური საფრანგეთი-ლა დარჩა მთელს ევროპაში დღეს მარტო ძველ პოზიციას. მხოლოდ ის განაგრძობს მტრობას რევოლუციონერ ხალხის სახელმწიფოს წინააღმდეგ, და კვლავაც არ ერიდება არაფითარ საშუალებებს ჩვენი სიმტკიცისა და ძლიერების შესარყევად. მშრომელთა წაბნობის დასამხობად.

იმ თავითვე საფრანგეთი საშინელ მტრულათ იყო განწყობილი ჩვენს წინააღმდეგ.

მან აუარებელი სიმდიდრე და ფულები ჩაფლანგა იმისათვის, რომ რუსეთში მოეცაო მუშურ-გლეხური ხელისუფლება და აღედგინა ძველი წყობილება.

მთელი წყება „სახელოვანი სამშობლოს განმანათლებლებელი“ ავანტიურისტ გენერლებისა მუშაობდენ რუსეთში და იბრძოდენ საფრანგეთის ფულებით, ამუნიციით, ტყვია წამლით და ხელმძღვანელობით.

რუსეთის კონტრ-რევოლუციის დასახმარებლათ საფრანგეთმა დახლოებით 200 მილიონი ფრანკი დახარჯა.

ოდესღაც რევოლუციის აკვანი, დიდებული კომუნარების სამშობლო, საფრანგეთი დღეს უაღრესად რეაქციონერი შეიქნა და საზოგადოებრივ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდა, როგორც ქანდაკი რევოლუციისა.

მან საეცებით მისიკუთარა ძველი რუსეთის როლი ევროპაში.

ის შეიქნა საფრთხობელა, უაღრესი მტერი, მშრომელთა ოჯახის განმანათლებლებელი მოძრაობისა.

საშინელ საშხეცითა და გაუმაძღრობით, ქვეშაოიტად ველური გაუმაძღრობით, დაარბია და გაანანავა დამარცხებული ევროპისა, ჩიიგლო ის ფეხს ქვეშ და გათვლა.

ამ გზით მოიცილა გვერდით დიდი მეტოქე და ამ ჟამად კი თავის მახელი ჩვენს წინააღმდეგ მომართა მან. მთელს მსოფლიოში, რევოლუციის ერთად ერთ კერას დაუმოხნა მძიმე არტილერია თავის დიპლომატიისა, შეეცადა აღევავა დედამიწის პირისაგან რევოლუციის ხსენებაც კი.

რა თქმა უნდა, ვარდა ბურჟუაზიის საერთო თვისების, შიშის რევოლუციის წინაშე, საფრანგეთის ბურჟუაზიას განსაკუთრებული ეკონომიური ინტერესები ამომრავებდა ჩვენს წინააღმდეგ.

ძველი რუსეთი, მეფის თვალწუდენი იმპერია, სრულა ყურმოჭრილი მონა იყო საფრანგეთისა, სათარეშო მოედანი და ერთგული „საკრეჭი ცხვარი“.

საფრანგეთის ფინანსიურმა წრებმა, ისე მაგრად შეპოვა მამინდელი რუსეთი, რომ გაადაქცია ის საკუთარ კოლონიად.

დიდი განსხვავება საფრანგეთის ნამდვილ კოლონიებსა და რუსეთს შორის ბატონთან დამოკიდებულების სტეროში არ არსებობდა.

რუსეთის მშრომელი ხალხი, აურაცხელ შრომის ხარჯავდა საფრანგეთის მადა გაფართო-

ებულ იმპერიალისტურ მცველფელთა გასაძღომათ.

ოცდა ხუთი მილიარდი, რომელიც საფრანგეთმა მეფის მთავრობას გადმოასესხა, ნთქავდა ხალხის მთელ ნაშრომს და მხოლოდ პროცენტებით არა კმარადა თითქმის მთელი სახელმწიფოს შემოსავალი.

ოქტომბრის აჯანყებამ, ბოლო მოუღო ასეთ მდგომარეობას.

მშრომელმა ხალხმა ერთი ხელის გაქნევით შემოიწყვიტა იმპერიალისტური ბადე, რომელშიაც ის იყო გახლართული. რევოლუციამ უარი განაცხადა ბურჟუაზიული და სამეფო მთავრობების ურთიერთ შორის აღებულ ვალების გასწორებაზე.

ამით მან გადაიმტერა კიდევ მეტად განსაკუთრებით საფრანგეთის ფინანსიური ოლიგარხია და რანტიები. პარიზი მოსკოვს დაუპირისპირდა. პარიზი მოსკოვის უსაშინელესი მტერი შეიქნა.

და დღემდისაც პარიზი მთელს ევროპაში ყველაზე დიდი მტერია ჩვენი.

პარიზის კაბინეტი ფრთხილად აბამს ქსელებს ჩვენს გასახლართავად.

მან შემოფარგლა ჩვენი რესპუბლიკების კავშირი მთელი რიგი ახლად აღმოცენებულ პატარა იმპერიალისტურ სახელმწიფოებით, რომელთაც კვებავს და მოარჩილებს ჰყავს, რათა პირველ წასისიანებისთანავე იოლათ შესძლოს შემოგვიტოოს ჩვენ.

უამრავი ფულები იხარჯება საფრანგეთის მიერ პოლონეთის ჯარების შესაქმნელათ და შესაიარაღებლათ.

ყველაფერი ეს იმის ნიშანია, რომ საფრანგეთის იმპერიალისტები არ სცხრებიან.

კბილებს იღესავენ და მოხერხებულ დროს შეეცდებიან მახელი ჩასცენ მშრომელთა ხელის უფლებას ზურგში, მაღალი კედლებია აღმართული ჩვენსა და იმპერიალისტურ საფრანგეთის შორის.

ევროპაში მქროლავი ახალი ნიავი შეიძლება ისე ძლიერად ვერ გაიგრილებს საფრანგეთში დღეს, მაგრამ ხვალ... ზეგ... დაინგრევა ეს მიუვალი კედლებიც.

ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარაა.

ჩვენი რესპუბლიკები, ინგლისთან და იტალიასთან ურთიერთობის დამყარების შემდეგ, დიდს არას წააგებენ თუ საფრანგეთი კვლავაც განაგრძობს ჯიუტობის ჯორზე ჯდომას.

ხოლო საფრანგეთი მისთვის არა ხელსაყრელ პირობებში მოექცა მას შემდეგ, რაც მთლიანი მოკავშირეთა ფრონტი რუსეთის საკითხში უკვე გაირღვა.

საფრანგეთი დღეს განმარტოების საკითხის წინაშე სდგას.

უნდა ვიფიქროთ, რომ საკუთარი ინტერესების, რეალური სინამდვილის შეგნება, აიძულებს მას დაბოლოს გააყვეს ინგლისისა და იტალიის (მისი მოკავშირეების) მიერ აღებულ გზას.

მიუკარებლობის კედლები თუ არ დაინგრა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არას ვკარგავთ.

ჩვენ შეგვიძლია დავიცადოთ მანამდის, სანამ საფრანგეთის პროლეტარიატი დაინგრევის

მას და ამ ნანგრევებზე საკუთარი დიქტატურის დროშას აღმართავს.

პარიზი და მოსკოვი მაშინ ძმურ ხელს გაუწყვდიან ურთიერთს.

ვლ. ბერაძე.



რუსეთის გრაფიკა

I

ამ დღეებში ერთ-ერთ მოხსენებაში ა.მ.ხ. ბოგდანოვმა სთქვა, რომ სულ 5 წლის განმავლობაში რუსეთის მრეწველობა მიაღწევს ამასწინა დროის მდგომარეობას.

ასეთი ოპტიმისტური შეხედულება სრულიად გამართლებდა, თუ თვალს გადავაგვლებთ ამ უკანასკნელ ხანებში რუსეთის მრეწველობის ტემპს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში რუსეთის მრეწველობა შესდგა აღორძინების გზაზე მხოლოდ 1922/1923 სამეურნეო წელს.

მიზეზი ამისა იყო ის, რომ 1921 წლის სიმშვილობამ შექმნა განსაკუთრებული დამოკიდებულება მრეწველობის საგნებსა და პურის ფასებს შორის:

მიუხედავად იმისა, რომ 1921/1922 სამეურნეო წლის განმავლობაში მრეწველობაში აღდგოლი ქონდა შრომის ნაყოფიერების აწევას, სამრეწველო წარმოებათა კომერციულ ორგანიზაციების მოწყობას და მრეწველობის ნაყოფიერებას, ეს წელი მაინც დამთავრდა დიდი დეფიციტით.

ეს დეფიციტი გამოწვეული იყო იმით, რომ მრეწველობის საგნებზე დაწესებული იყო მეტად დაბალი და ზარალიანი ფასები, საეაქრო პოლიტიკა ახლად შექმნილი ტრესტების არ იყო რაციონალური, ბევრი საქონელი (სათბობი მასალა და სხვა) სახელმწიფოს ეძლეოდა ან უფასოდ, ან ძალიან ძვირ ფასებში.

1922/1923 წლის სამრეწველო პროგრამის მიხედვით რუსეთის მრეწველობას ესაპიროვებოდა დამატებით 450 მილიონი ოქროს მანეთი, რომ მისი ბიუჯეტი გაუმჯობესებულყო და ის ჩამდგარიყო ნორმალურ პირობებში.

სიმშვილის ლიკვიდაციამ, კარგმა მოსავალმა მეტად შეუწყო ხელი გასულ სამეურნეო წელში რუსეთის მრეწველობის აღორძინების გზაზე ჩქარი ტემპით სვლას.

პურის ფასმა იწყო დაცემა.

„გოსპლანის“ ინდექსის მიხედვით, 1 ოქტომბერს 1922 წელს (სამეურნეო წლის დასაწყისს) საშუალო ფასი პურეულობაზე იყო 1.02, პირველ იანვარს 1023 წ. — 0,78, 1 აპრილს 0,67, 1 ივლისს 0,66, ხოლო 1 ოქტომბერს 1923 წ. ეს ფასი დაეცა 0,45 — მდე.

როგორადაც არ უნდა იქნეს დაფასებულნი ფასების ასე დაცემა პურეულობაზე საერთოდ სახელმწიფოს ეკონომიკისთვის, ერთი ცხადია, რომ ამ ვარემოებამ ხელი შეუწყო მრეწველობის ჩქარი ტემპით აღორძინებას.

ქალაქებიდან სოფლებში გადაფანტული ნუშა, ისევე იწყებს ქალაქებში დაბრუნებას. ის უბრუნდება ფაბრიკა-ქარხნებს.

რუსეთის ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი 7.020. 249 სული 1920 წელს აღის 8.102.

847 1923 წ. უმთავრესად მრავლდება ზეცხოვრება რიცხვი ცენტრალურ სამრეწველო გუბერნიებში, სადაც მცხოვრებთა შემატება 1920-დან 1923-მდე აღწევს 20, 12, მაშინ, როცა ცენტრალურ მოსავლიან გუბერნიებში მცხოვრებთა რიცხვი შემოკლდა 0,5% დე, ხოლო ვოლგის და ურალის რაიონებში 4,41%-მდე.

1922 წლის მოსავლის მეორე კარგი შედეგი არის რუსეთის მრეწველობის ნაწარმოებთა ბაზრის გაფართოება.

მრეწველობის საგნებით ვაჭრობა დგება უფრო ნორმალურ კალაპოტში. ერთი მხრით ადგილი აქვს ნაწარმოებთა ნორმალურ მოთხოვნილებას სოფლებში და ქალაქებში, მეორე მხრით ბოლო იღება ქაოტიურ, ყოველივე ორგანიზაციულ ფორმებს მოკლებულ ვაჭრობას ტრესტების მხრით, როცა დაბალ სახარალო ფასებში, და ხან მუქთადაც არიებდნენ თავიანთ პროდუქტებს.

ნორმალური დამოკიდებულება მოთხოვნილება მიწოდებას შორის ქმნის ნორმალურ ფასებს მრეწველობის საგნებზე, რაც ხელს უწყობს მრეწველობის მოლონიერებას.

რუსეთის მრეწველობის გამაგრებას ხელი შეუწყო აგრეთვე საგარეო ვაჭრობის ახალ პირობებში ჩაყენებამ.

სიმშობლიობის ლიკვიდაციის მოყვა უცხოეთიდან სასურსათო საგნების შემოტანის შეწყვეტა, რის გამო რუსეთის მრეწველობამ თავი დააღწია უცხოეთის მეტოქეობას შინა ბაზარზე. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო აგრეთვე ჩვენი სავაჭრო ბალანსისთვის აქტივობის შექმნას.

გარდა ამისა გასულ წელს საერთო ნაციონალურ ბაზარს შეუერთდნენ განაპირა კუთხეები, მაგალი: ციმბირი, შუა აზია, ამიერკავკასია და დასავლეთი ნაწილი ევროპის რუსეთის, რომლებიც წინეთ მოწყვეტილი იყვნენ ეკონომიური ცხოვრების ცენტრს. ზემოთ ჩამოთვლილ მდგომარეობამ შეუქმნა რუსეთის მრეწველობას მშვენიერი პირობები, რომ რუსეთის მრეწველობის საგნებზე აწეული ყოფილიყო ფასები და ქონოდა ადგილი მოთხოვნილობებსაც.

მაგრამ ყველაფერი ეს ფუქად ჩაუვლიდა ჩვენს მრეწველობას, რომ ამავე დროს სახელმწიფო არ დახმარებოდა მას ფინანსიურად.

სახელმწიფო ფინანსების გაუმჯობესება, რომლითაც აღორძინდა გასული წელი, გამოყენებულ იქნა სახელმწიფო მრეწველობის მიზნებისათვის.

გასულ წელს სახელმწიფოს საერთო შემოსავალი უდრის 1.200 მილიონ ოქროს მანეთს. აქედან სახელმწიფო მრეწველობას მიეცა 175 მილ. ოქროს მანეთი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვაჩვენებს თუ რომდენი თანხა მიეცა სახელმწიფო მრეწველობას საერთო შემოსავლიდან.

სამრეწველო დარგები	მიეცა ოქროს მან.
1. ქვანახშირი	28.998.330
2. ნავთი	22.768.806
3. ტორფი	1.705.752
4. სლანეცი	400.459
5. ლითონი	33.047.210
6. მადნები	538.398
7. ელექტრო ტენიკა	758.243

მუშა რეკონსტრუქციის

უნდა იყო რაინდულის სულით მუდამ გამსჭვალული:

ცეცხლის ტალღებს არ უფრთხოდეს

ეგ გმირული შენი გული...

მედგარი და გაბედული,

ვახში ძმავ კომუნარი:

დარაზე და აამხედრე

მტრის წინააღმდეგ

მშრომელთ ჯარი...

უბრძოლველად ვინ რას მოგცემს,

გწამდეს ბრძოლა უშიშარი.

თუ დაღეწე ძველ ქვეყანას,

განთიადი ახლოს არი!...

ზიზღის თვლით გადახედე

ხალხის მტერს და მოალატეს;

ბრძოლის ცეცხლით წინ გასწე

და გზას რწმენა გაგინათებს!...

ა. სპირიდონიძე.

8. ძირითადი ქიმიური მრეწვე.	942.962
9. სილიკატი	662.439
10. ელექტრო აღმშენებლობა	31.832.551
11. საქსოვი მრეწველობა	21.300.000
12. ტყავი	3.250.000
13. საქმილი	517.500
14. შაქრის ტრესტ	3.750.000
15. ელექტრონის მომარაგება	1.443.484
16. დანარჩენ დარგებს	22.373.063

სულ 175.348.864

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, სახელმწიფო მრეწველობაზე გაცემული თანხებში უმთავრესი ადგილი უჭირავს მძიმე მრეწველობის დახმარებას, რომელსაც აქვს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.

ეს თანხები უმთავრესად მიეცა კაპიტალური რემონტისთვის და ზარალიან დარგების დეფიციტის დასაფარავად.

გარდა ამისა ბანკებშიც გაუხსნეს კრედიტი. მრეწველობის 1 ოქტომბერს 1923 წ. საერთო-დავალიანება ჩვენი მრეწველობისა ბანკებთან უდრდა 165.263 ათას მანეთს. 1922 წ. 1 ოქტომბერს კი მართებდა მრეწველობას ბანკების მხოლოდ 25 მილ. მანეთი.

ამ ნაირად, გასულ წელს რუსეთის მრეწველობამ სულ მიიღო დამატებითი კაპიტალი დაახლოებით 315 მილ. მანეთი. აქედან თუ გამოვაკლებთ იმ თანხას, რომელიც გაღებულა ელექტრო-აღმშენებლობისთვის, რუსეთის მრეწველობას რჩება 283,5 მილ. მანეთი.

ა. რუხაძე.



ჩვენ გავიფარჯავით.

საბჭოთა რესპუბლიკების არსებობის ექვსი წლის შემდეგ საყურადღებო ცვლილებანი არის მომხდარი მის საშინაო და საგარეო მდგომარეობაში. რუსეთის რევოლუციამ თავისი არსებობის განმავლობაში გააიარა რამოდენიმე საფეხური. პირველი საფეხური ცნობილია სამხედრო კომუნისმით, სამოქალაქო ომით—საშინაო პოლიტიკაში, ხოლო საგარეოში ამ

დროს მეტად გართულებული მდგომარეობა იყო საბჭოთა რესპუბლიკისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოების შორის—ბრესტის ზავი, ამ პერიოდის კრიტიკულ მომენტს შეიძლება მიუხედავთ იმისა, რომ ამ პერიოდში რუსეთის რევოლუცია ჩაყენებული იყო უმძიმეს პირობებში და ბევრში ექვს იწყებდა თავის დახსნევის შესაძლებლობა, მიუხედავთ ამისა, ეს პირველი გადამწყვეტი ბრძოლები ღირსეულად ჩაატარა რუსეთის პროლეტარიატმა და შესძლო მტკიცე სახელმწიფოებრივი ძალაუფლების დამკვიდრება.

მეორე საფეხური ხასიათდება საშინაო პოლიტიკაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით, ხოლო საგარეოში ბურჟუაზიული სახელმწიფოებთან მოლაპარაკების დაწყებით, სადაც პირველად გამოვიდა საბჭოთა მთავრობა ოფიციალურად საერთაშორისო პოლიტიკაში. ამ საფეხურზე რუსეთის რევოლუციის ახასიათებს, როგორც სისუსტე, ისე ძლიერება. ძლიერება რევოლუციისა მტკიცდებდა რეაქციის ძალების დამარცხებით, სახელმწიფოს განმტკიცებით და ისეთი მნიშვნელობის დასახურებით, რომლის გარეშე ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოებს არ შეეძლოთ ევროპის ალდგენის შესახებ ფიქრი. სისუსტე-რევოლუციის ცეცხლი შენგელდა და ვათავებდებულ კაპიტალისტურს მთავრობებს საშუალება ეძლეოდათ გამოსულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ ულტიმატუმით და მოთხოვნილებით. ამ საფეხურზეც შესძლო გამარჯვებით გამოსვლა მუშათა კლასმა. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება გამოაცოცხლა, ხოლო ბურჟუაზიული სახელმწიფოებმა ვერ მიაღწია თავის მიზნებს საბჭოთა კავშირის დამორჩილების და ეკონომიური დამკვეთებარების საქმეში.

მესამე საფეხური იწყება საშინაო პოლიტიკაში სახელმწიფოებრივი სიმტკიცით, საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბებით, სამეურნეო აღორძინებით, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკაში ჩვენი ცნობით ინგლის-იტალეთ-ნორვეგიის მხრივ.

ეს ცნობა უშუალოდ გამომდინარეობს საბჭოთა კავშირის გაძლიერებიდან, რომელმაც გამოიჩინა ძლიერი ენერჯია, რომელიც დაადგა აღორძინების, შემოქმედების და ამომრავების გზას და რომლის დამარცხება ხმლითა და თოვით შეუძლებელი გახდა. ბურჟუაზიული ქვეყნები კარგავენ იმედს საბჭოთა რესპუბლიკების დაზიანებისას, თავს ანებებენ ძველ გზას რუსეთის მიმართ და ცდილობენ დაიჭირონ მასთან კავშირი სავაჭრო სამრეწველო მიზნით.

რამ მიიყვანა რუსეთის რევოლუცია ამ საფეხურამდე? უპირველესად მუშებისა და გლეხების ორგანიზაციულმა ბრძოლამ, გამარჯვებებმა სახელმწიფო და სამეურნეო ფრონტებზე და შექმნამ მაგარი და ურყევი ძალა-უფლები-სამ. ამ გამარჯვებას ბელი შეუწყო აგრეთვე იმ შურმა და უთანხმოებებმა, რომელშიაც გაბმულია ბურჟუაზიული ქვეყნები და რომლებმაც ევრო ერთ მომენტში ვერ შესძლეს მთლიანად შეკავშირებულად და ორგანიზაციულად გამოსვლა საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ. საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის წითელი დიპლომატია მომხრებულად სარგებლობდა

ყოველთვის ამ უთანხმოებებით და მტრის ამ სუსტ მხარეზე თავის მხრივ ხელი შეუწყობ რუსეთის რევოლუციის გადარჩენას და გაძლიერებას. ასეთი უთანხმოებანი მუდმივ თანხმობათ ითვლება კაპიტალისტური ქვეყნების არსებობისათვის და საბჭოთა დიპლომატია მუდამ მოხერხებულად ააგებს მასზე შესაფერ პოლიტიკას და ისე როგორც აქამდის მტრის ბანაკში დაქსასულობის გამო—შესძლებს გამარჯვებული გამოვიდეს. დღესაც რუსეთის ცნობის საკითხშიაც უთანხმოებაა ბურჟუაზიულ ქვეყნებში და ეს კი ხელს უწყობს უფრო ხელსაყრელ მდგომარეობის შექმნას.

ვერსალის ზავის ავტორებმა ვერ შესძლეს ვერც ერთი საკითხის გადაჭრა და მოგვარება. იმპერიალისტური ომით დანგრეული მეთურნეობის აღდგენა ვერსალის ზავის შემდეგ ერთი ბიუჯეტით არ წაწეულა წინ, მსოფლიოს შერყეული მშვიდობიანობა, ხალხთა შორის დათესილი მტრობა და შური, ჯერ კიდევ მტკიცეთ ფეხს გადაგმულია და, პირიქით, ახალი შეტაკებანი, ახალი მხეცობა, ახალი ველურობა (იტალიეთ-საბურძნეთის შეტაკება) აი რა ახასიათებს ბურჟუაზიულ და კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგრამ ამ ვარემოებს თანასდევს ერთი დიდი დადებითი მხარე—ეს არის რევოლუციის გასამარჯვებლად პირობების მომზადება, რაც უფრო დაინგრევა ბურჟუაზიის ნაშენი საქმეები, მით უფრო კარგი იქნება რევოლუციისათვის, მით უფრო კარგი პირობები დადგება პროლეტარიატის მოძრაობის დასაწყებათ და ახალი ქვეყნის მოახლოებისათვის ბრძოლის გასაჩაღებლად.

დღეს მტრის ბანაკში დაქსასულობაა, მისი მეთურნეობა აწეწილია, მის ოჯახში განხეთქილებია—ეს კი საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის უდიდესი სიხარულის მომგვრელია, რადგან ეს აჩქარებს და აადვილებს მტრის საბოლოო დამარცხებას.

ა. კ. კ—ძე.



ჰინლა გინდათ მოასჯაოთ?!

პარასკევს, 22 თებერვალს, სხვადასხვა საქმეების გამო შევიარე გაზეთ „მუშა“-ს რედაქციასში, სადაც ამხ. რედაქტორი გაოცებული მკითხება: „კაცო, ილიკო შენ არ გქვია“-ო. დიახ—ფუპასუხე მე. მან უცხად მომიცა ხელული პროკლამაცია, რომელიც მენშევიკური სტამბის დაქერის დროს ხელთნაწერებში აღმოჩენილიყო.

ერთ-ერთ ადგილას ასეთი უსირცხვილო ყაბღი ჭორი იყო ამ შავ პროკლამაციაში: „გასული წლის 25 ივლისს, კომუნისტურმა პარტიამ შეირიგა თავისი რაზმით ილიკო ჯუღელი ტყუილი სიტყვებით მიიტყუილა და შემდეგ უსირცხვილ დახვირტაო“.

ამ ადგილს გაეკვირვებია ალბად ამხ. რედაქტორი.

ვინლა გინდათ ასეთი ტყუილებით მოატყუოთ?! ვის გინდათ კიდევ თვალები აუხვიოთ?! არ გეჩოთ ამ წლის განმავლობაში, რაც უბანკო სისხლში ხელები გაისხარეთ?!

ამაზე მეტი სიტყუე და სიყალბე კიდევ იქნება?! მე „დახვრეტლი“ კაცო თავისუფლად

დავიარები ქ. ტფილისში და ვთანამშრომლობ საკუთარი სახელით და გვარით ჟურნალ „სიბართლის ხმა“-ში.

შეიძლება ჩემი გულის მოგება გინდოდათ ამ პროვოკაციით: „მოდი, დაესწროთ, ისიც არაფერს არ იტყვის, გული მოუღებება და სხვებს დაეწინებოთ“. მაგრამ თქვე ბრავებო, ნუ თუ გჯეროდათ, რომ კიდევ ვინმე დაგიჯერებდათ ასეთ ზღაპარს, რადგანაც ყველა ამხანაგები სწორ გზაზე დამდვარნიც და მერყვენიც კითხულობენ ჩემს წერილებს და მშვენივრად იციან, რომ მე ცოცხალი ვარ და კიდევ ვმსახურობ.

მე მინახავს დამარცხებული გენერალი, რომელიც უჯაროდ დარჩენილა, პატიოსანს თავი მოუკლავს, გაიძვერა მოლაღატე კი გაქცეულა უტხო ქვეყანაში...

თქვენ კი რალა დაგრჩენიათ, ვილას ებლაუქებით... აგერ შეიდი თვე გადის, რაც საქართველოს პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილმა, ზურგი შემოგაქციათ და ჰაერში გამოკიდებული დაგტიათ... საბრალოებო, ვილას ატყუებთ ჩემი „დახვრეტლი“. იმ ერთი მუჟა „ბელორუტებს“, რომლებსაც მე დასანახავად ვეზარები და რომლებსაც კიდევ რალაცასი იმედები აქვთ და ბრმად ასალებს ამ ზღაპრებს საბრალო გლეხობაში, ანდა იმ საწყალი გზა-აბნეულ ხალხის, რომლებიც თქვენი უმგანო პოლიტიკა-ტაქტიკით, მოკლებული სწორ ინფორმაციას, ტყეში ვაფანტეთ, ყაჩაღბანდიტების სახელით მონათლეთ და ესლა აშინებთ არ შეუოიგდეთ არსებულ ხელისუფლებას, არ დადგეთ სწორ გზაზე, თორემ დაგვხვრეტენ ისე, როგორც ილიკო ჯუღელიო.

ამხანაგებო, რაც დრო მიდის ჩვენი მდგომარეობა თანდათან მტკიცდება; თუ აქამდე შიშის, გაუგებრობის გამო, კიდევ ადგილი ჰქონდა უნდობლობის კომუნისტურ პარტიის მიერ ჩვენდამი, დღეს ეს სავსებით ვაფანტულია და ბევრ ჩვენ ამხანაგებს პასუხისმგებელი ადგილებიც ჩააბარეს. კარგათ იცოდეთ ყველამ, არაგინ არ მოგატყუოთ... კომუნისტურ პარტიას არავის სისხლი არ სწყურია და შურიც არ აქვს.

მე შეგნებულათ, ძალ-დაუტანებლათ უკუვაგდეთ გაიძვერული ბურჟუაზიის მოკავშირე პარტია; რადგანაც ის ასცდა სწორ პროლეტარულ გზას...

და დღეს მე აღშფოთებული ასეთი საზოზღარ ტყუილ-ჭორ-პროვოკაციით ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვითხრათ: გაბედულათ, ამხანაგებო, და განსაკუთრებით თქვენ, თუ კი თქვენდამი მოაღწევს ამ ჟურნალის ფურცლები, ტყეში გახიზნულუებო, ნადირივით დამალულუებო, მოგმართავთ:

დაპვეთ ის გზა, რომელმაც შავ-კონტრ-რევოლუციის ბანაკში გადაგისროლათ, ყაჩაღბანდიტების სახელით მოგნათლათ, გაგანადგურებით სახლ-კარი, დაგასჯევით უდანაშაულო ნათესავ-მეგობრები. გამართეთ მოლაპარაკება არსებულ ხელისუფლებასთან და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, როგორც მე ჭორით „მკვდარი“- ვარ, ისე იქნებით თქვენც.

მოდით, ამხანაგებო, გასწყვიტეთ ყოველ გვარი კავშირი ბურჟუაზიასთან და მის ლაქია მენშევიკებთან, რადგან საქართველოს პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი ამისკენ მოგვიწოდებს.

მოდით და დღეს შემდეგ მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი შეგნება-გამოცდილება, სოციალისტური ქვეყნის აღმშენებლობას მოგანხმართ და საქიროების დროს არა ბურჟუაზიის მონა ბანდიტათ, არამედ პატიოსან რევოლუციონერივით თავი დაიდვათ სოციალიზმის სამსხვერპლოზე.

ი. ჯუღელი.



„როგანოვკის“ ოჯი ზღის თავი.

1904 წ. იანვარში იაკუტსკში იგრძნობდით ამ შორეული ქალაქისათვის უჩვეულო გამოცოცხლებას. აქ ყველ მორეკონი მთელი ციმბირის თითქმის ყველა გადასახლებული კიდევ უფრო შორეულ ადგილებში გადასახავანათ. სისხლის მსმელი ნიკოლოზის მთავრობა კიდევ არ კმაყოფილდებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირით. ჩვენ გვერეკებოდენ ჩრდილოეთისაკენ—ვერხოიანსკში და კოლიმსკში, საიდანაც დამარუვნებაზეც ფიკრი ზედმეტი იყო. ეს ზომა შემუშავებული იყო აღმოსავლეთ-სიბირის გენერალ-გუბერნატორის კუტიასოვის მიერ, რომელიც იყო მარჯვენა ხელი იმ დროის შინაგან საქმეთა ყოვლის შემძლე მინისტრის ფუნ-პლევესი. ამ ჩვენს განდევნას გადასახლებიდან წინ უძლოდა მთელი რიგი წინასწარ მუშაობისა.

გადასახლებულებმა დიდი ბრძოლის შემდეგ მიიღეს ზოგიერთი შეღავათი: მათ ნება დართეს გაეწიათ პედაგოგიური მუშაობა, დაეკავებიათ ფერშობის, ექიმების, სტატისტიკოსების, არხიტექტორების და სხვების თანამდებობა. მაგრამ ათას ცხრაას წელს გადასახლებულებს დაუწყეს შევიწროება, ამის მიზეზი იყო ფართო რევოლუციონური ტალღა, რომელიც მოედო რუსეთს და რომელთანაც გადასახლებულებს არ შეეძლოთ გაეწვიოთ კავშირი: გაცხოველებული დამოკიდებულება ადგილებთან, სისტემატიური გამოქცევა ციმბირიდან, რევოლუციონური მუშაობა თვით გადასახლებულებში. ამიტომ ფონ-პლევემაც გადასწყვიტა უფრო მეტად მოხერხებინა ქედი გადასახლებულებისათვის. თავიხი პოლიტიკის გასატარებლად ფონ-პლევემ დაიწყო იქიდან, რომ გამოსცვალა მთელი ადმინისტრაცია და თავის პოლიტიკის გამტარებლად დანიშნა გრაფი კუტაისოვი. ფონ-პლევეს ნაკაზში ნათქვამი იყო: „უფლების ყოველგვარ გადაჭარბებას დაფიფარავ, ხოლო შესუსტებას არ მოვითმენ.“ გრაფი კუტაისოვიც დავალების მიხედვით შეუდგა ბრძოლას „ადვირ-ახსნილობასან“ (распущенности) მისი პირველი „საქმე“ იყო გამოცემა მთელ რიგ ცირკულარებისა, რომლებიც არღვევდენ „ყველა ორმოკივე მუხლს გადასახლებულთა შესახებ“: დაიწყო: 1) ადმინისტრაციის დასჯა უყუარდლებობისათვის, 2) გადასახლებულებზე ფარული ჯაშუშების გაძლიერება, 3) კორესპონდენტებზე კანტროლის გაძლიერება, 4) სახელმწიფო კანტარების მოსპობა, 5) მთელი რიგი უსაფუძლო ცილისწამებისა და ძალადობისა, 6) მეორმოცე მუხლის გაუქმება გადასახლებულის სახელმწიფო ხარჯზე დაბრუნების შესა-

ხებ, 7) გადასახლებულებთან ნახვის უფლების აღკვეთა, 8) დაუეთხავათ წასვლის გამო დასჯა, 9) გადასახლებულების ქალაქებიდან რკინისგზის უბნებიდან განდევნა.

ყველა ამ ცირკულიარების მიზანი იყო ერთის მხრივ გადასახლებულების შევიწროება-დამცირება და მეორეს მხრივ შურისძიება მათზე რუსეთში წარმოშობილ რევოლუციისათვის. დაიწყო დაპატიმრებანი, გადასახლება, ცემა. გადასახლებულები ამ შევიწროებას პროტესტით უპასუხებდნენ; ისინი უარს ამბობდნენ უკანონო ცირკულიარების შესრულებაზე, წინააღმდეგობას უწყევდნენ პასიურად, მაგრამ კიდევ ვერ ბედავდნენ უფრო აქტიურ მოქმედებას. ადმინისტრაციის პროვოკაციამ მოთმინებიდან გამოიყვანა გადასახლებულები. საკითხი მათ წინაშე პარდაპირ დაისვა: მოეთმინათ თვითნებობა და პირადი შეურაცხობა; თუ გაეწიათ წინააღმდეგობა. ასეთ პირობებში წარმოიშვა ჩვენი პროტესტის იდეა. იაკუტსკში პოლიტიკურ გადასახლებულთა მთელ რიგ მრავალრიცხოვან კრებებზე ირჩეოდა გადასახლებულთა საკითხის მოთმენა და მორჩილება არ შეჰფერის რევოლუციონერებს. უთანხმოებამ იჩინა თავი მხოლოდ მაშინ, როცა საჭირო გახდა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადასახლებულთა ნაწილი, უმეტესად სოციალისტ-რევოლუციონერები, წინააღმდეგი იყო კოლექტიური, აქტიური გამოსვლის და ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, მოგვიხდა პროტესტის ხელმძღვანელობა. თერამეტი თებერვალი (ორი მარტი ახ. სტილით.) გადამწყვეტი დღე იყო. აღრე დილიდანვე აქტივისტებმა ორმოცდა ორი კაცის რაოდენობით ჩავესაფრეთ იაკუტრომანისკის სახლში და გაუგზავნეთ გენერალ გუბერნატორს ჩვენი განცხადება, რომლითაც მოვითხოვდით ყველა ცირკულიარების დაუყოვნებლივ გაუქმებას; ჩვენს გადაწყვეტილებას ჩვენ ვამტკიცებდით იარაღით. მაგრამ, კიდევ დიდხანს დაგვეჭირდა ლაპარაკი. დაშინებული ამ მხარის უფროსი ჩაპლინი პოლიციისტერის თანხლებით. თითონ გამოცხადდა ჩვენთან მოსალაპარაკებლად ის იძულებული შეიქნა გაჩერებულიყო ბარაკებში იქით ოცდაათ გრადუს ცინვაში. ის ვერაფერს გახდა: ჩვენ განვაგრძობდით ბარაკებში ჯდომას, ვამაგრებდით ჩვენს ფორტს და ვემზადებოდით გადამწყვეტ შეტაკებისათვის. ჩვენ შორის არავინ არ ფიქრობდა ცოცხლად დარჩენას. ჩვენ მივდიოდით „რომანოვკაში“ სასიკვდილოდ განწყობილნი; ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ აუცილებლად დავილუქებოდით ბრძოლაში ან სამხედრო სასამართლოს სახარბოებლებზე. ადმინისტრაციამ, რომელმაც დაჰკარგა იმედი, რომ ჩვენზე მუქარით იმოქმედებდა, გადასწყვიტა ჩვენი დაპყრობა ძალით. ცნობები, რომლებსაც ვვაწვდიდნენ ჩვენი მხვერავები, მოწმობდნენ იმას, რომ ჩვენს წინააღმდეგ მიმართავდნენ უხეშ ძალას. მოსალოდნელი იყო სროლის ატეხი. ჩვენ ვავამაგრეთ რომანოვკა გამოცდილი იფიცრის ახს. ბონდევსკის ხელმძღვანელობით. ჩვენ ვავამაგრეთ ხის სახლის კედლები ერთ ნახევარ არშინის სიმაღლეზე; მასალებად გამოვიყენეთ

ჩ ვ ი ვ

ქაოსი... მაგია... თილისმა უარყო და გაჰანტა თილისმა. ავკრივეთ... ავასხით მძივები და უბნებს ვესროლეთ სხივები. მომავალს დავსვეთ თვალები, გავაკიებთ დაქაჯნი-ალბი. იუდას გაუხადეთ ნაბადი, დავრეკეთ ზარების ნაბათი. გავეციოთ ხმამალა ძახილი — დავფრთხეთ სიჩუმე და ძილი. მოდიან მებრძოლთა გუნდები, ამბობენ: „ჩვენ თქვენთან ვბრუნდებით“. რქებს იტებს კლდეებზე აფთარი დასდგება დაშლილი ლაშქარი. გამოჩნდა ახალი პლანეტა და დაჰქრა ცდომილი კომეტა.

გაროლდი.

ყინული და მიწა, რომელიც ჩამოვიტანეთ სახურავიდან, პირველ მარტიდან დაიწყო ჯარისკაცების და ყაზახების აგრესიული მოქმედება და სამ მარტს გაისმა პირველი სროლა, რის შემდეგაც დაიწყო ვაითობული იერიში რომანიოვკაზე. პირველი შემოტრევის მსხვერპლი გახდა ახს. იური მატლახოვი, რომელიც მკვდარი დაეცა ბარაკადზე.

და თუ ჩვენ დავკარგეთ მხოლოდ ერთი მკვდარი და დავგვეჭრა რამდენიმე კაცი, ეს იმ ჩვენი სიმამრების წყალობით, რომლებიც არ უშვებდნენ ტყვიას.

ოთხი, ხუთი და ექვსი მარტი იყო სისტემატიური სროლის დღეები. ჩვენ უკვე შეეწვიეთ მდგომარეობას და სისწორით შეგვეძლო გვეწინააღმდეგობა, იური როდის და როგორ დაიწყებოდა იერიში; სწრაფად მწყვერვდებოდით ჩვენი გაუფალი სანგრების გასწვრივ და ვითვლიდით მათ გამოსროლილ ტყვიებს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ჯერ კიდევ პირველმა შეტევამ დაგვაფიქრა ჩვენს გამოუვალ მდგომარეობაზე: რა ექნათ? ჩვენ ვარკვევდით ჩვენს მდგომარეობას; ყოველ დღე ახალი მსხვერპლი იყო; საჭირო იყო გამოსავლის პოვნა, იყო სამი გამოსავალი, რომელთაგან თითოეული მიუღებელი იყო ჩვენს მდგომარეობაში: 1) ყველას ამოეღებოდა „ჩასაფრების“ მდგომარეობაში, 2) გამოსვლა აშკარა ბრძოლაში კარგად შეიარაღებულ სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ და ჩვენი განადგურება (ამ სიამოვნების მინიჭება ადმინისტრაციისათვის ჩვენ არ გვინდოდა, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი ჯგუფი ოცი კაცისაგან შემდგარი მოითხოვდა ამას) და 3) კაპიტულიაცია მტრის წინაშე. უმრავლესობის დადგენილებით მიღებულ იქნა უკანასკნელი გადაწყვეტილება. შვიდ მარტს ჩვენ დავმორჩილდით ხელისუფლებას და „რომანოვკის“ თავისუფალ პატიმრებისაგან ვაგზბით იაკუტსკის ციხის უნებლიე პატიმრები. ტრალედის პირველ აქტს მოჰყვა ფარსი — ნიკოლოზის სამეფო გასამართლება. ჩვენ ჯერ კიდევ მატლახოვის ცხედარის წინაშე ფიცი დავდევით არ ვაგვეცა ჩვენი შინაგანი ორგანიზაცია და ყველა 57 კაცმა გადაჭრილი უარი განაცხადეთ გა-

მომძიებლებისათვის რაიმე ჩვენების მიცემაზე სასამართლოში კი ჩვენ აქტიური მონაწილეობა მივიღეთ, რათა დავგვერღვია როგორც ფაქტიური, ისე იურიდიული ლეგენდები: ვარკვევდით ნამდვილ მიზეზებს, ჩვენი პროტესტის მიზეზებს და ნამდვილ მსველლობას. ათი მომამზებრებელი სხდომა, რომელიც გრძელდებოდა შუალამემდე; პროკურორის უნიჭო სიტყვა, ჭორები 108 მოწმის, უმეტესად ჯარისკაცების და ყაზახების...

ბრალდებულთა და დამცველთა მხურვალე სიტყვებმაც ვერაფერი უშველა საქმეს და თითულ ჩვენთაგანს მოგვისაჯეს თორმეტი წლის კატორა. ამგვარად, კალმის ვრთი მოსმით გამოითანეს განაჩენი 630 წლის კატორლის მისჯის შესახებ.

ასეთი განაჩენი ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი. მაგრამ, ის აზრი, რომ ასე დიდხანს მოგვინდებოდა ჯდომა, ჩვენ მოსვენებას არ გვაძლევდა. ჯერ კიდევ კატორლის გზაზე ჩვენ დავგებოდა აზრი გაქცევის შესახებ. ზოგიერთებმა მოახერხეს გაქცევა გზიდან.

ჩვენ კი მომწყვედურნი აღექვანდროვსკის საკატორლო ციხის კედლებში ეკოცალობდით ერთად-ერთი მიზნით: რათა არ დაგვეჯდომოდა გაქცეულიყავით კატორლიდან. ჩვენი პირველი თათბირის შედეგი იყო გადაწყვეტილება შეესდგომოდით მიწის გამოთხრას. ჩვენ მიერ დაწყებულ გამოთხრის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი არ ყოფილა დაწყებული და მინდა მკითხველს გაუზიარო ჩემი შთაბეჭდილებები შემდეგში.

გ. ვ — ანი.



იასონ ლონსი

ისტორია ძუნწი და გულმავიწყია. ცხოვრება ისე რთული და ვრცელია, რომ ისტორია ვერ იტევს მას. მრავალ ღირსშესანიშნავ მოვლენებს წილად არ ხვდება ისტორიის ფურცლებზე ამოკვეთა. ისტორიის ამ თვისებას თუ ნაკლს ჩვენ საესებით ვერ დავსძლევთ, მაგრამ შეგვიძლია დავაწყებთ არ მივსკეთ და აღვადგინოთ მრავალი ფაქტები, რათა მომავალს უფრო ნათლად და ზუსტობით გავაცნოთ წარსული. დღეს ჩვენში დიდ ყურადღებას აქცევენ ამას. რევოლუციისათვის თავდადებულთა ცხოვრებას ირკვევენ და აცნობენ ხალხს. მაგრამ ამისათვის სპეციალური ორგანიზაცია ვერ მიღწევს შესაფერ შედეგებს, თუ ფართე საზოგადოების მხრიდანაც არ შეხვდა ამ საქმეს თანაგრძობა და დახმარება. არა მარტო რევოლუციონერის, არამედ ყველა პატიოსანი პიროვნების ვალია დავიწყებას არ მისცეს ხალხის კეთილდღეობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნა. დღე მათმა აჩრდილმა გამოაღვიძოს ყველა სპიტაკი პიროვნება და მათ საფლავებიდან არ დავიწყების ძახილმა ააძვეროს ნათელი გული. ოციოდ წლის უკან, როცა დაიწყო რევოლუციონური მოძრაობა, ბევრმა შესწირეს სიცოცხლე ბრძოლას, რომელსაც დღეს ვეღონიერება მოაქვს ხალხებისათვის. ნაძალადევი ხომ ყოველთვის პირველი რევოლუციონერი მოძრაობაში.

ეს იყო კერა, რომლის გულში ინახებოდა ნაღვერდული კოკონის დასახლებად.

ცხრაას ხუთის მოძრაობაში პირველ ხარისხოვანი როლი რკინის გზას ეკუთვნის.

მეფის ჯარის ეშელონები, რომლებიც მიიქაროდნენ აჯანყებულ კუთხეებში წესრიგის აღსადგენად, იმტვრეოდნენ გზის ლიანდაგების აყრის გამო. მეფის ჩინოვნიკებიც რკინის გზებზე უფრო მკაცრი და ბოროტი იყვნენ.

ეს ასეც ხდება. სადაც მტრის ძლიერება არის, იქ უნდა გაავაზნოს მოწინააღმდეგე თავის ძლიერებაც სწორედ ამ დროს და ამ მოძრაობას შეეწიროს მსხვერპლად ის ადამიანი, რომლის სახელი და გვარი არის ამ წერილის სათაური, ალბათ ბევრს ემასსოვრება მის ამხანაგებში ეს თავგანწირული რევოლუციონერი-ტერორისტი.

დღეს, როცა ხალხის საყვარელ შვილების სასაფლაოებს ლოდები ეხდება, გმირები სდგებიან მკვდრებით, შარავანდელით მოსაყენ მათ და უკვდილების ძეგლს უდგამენ—უნდა მოვიგონოთ და ღირსეულად პატივი ვსცეთ **იასონ ლლონტხ...**

მაგრამ გავიცნოთ იგი.

სრულიად შემთხვევით ერთ ოჯახში წვაფეყლი გაზზე „მუშას“-ს № 59. ცალი გვერდია და არ ვიცი რომელი წლის არის; უნდა იყოს გასული წლის. არის არსენ ჯორჯიაშვილის სურათი და წერილი ასეთ სათაურით: „**ვინ იყო არსენ ჯორჯიაშვილი**“

წერილი წავიკითხე ჩემთვის. ლაპარაკი ჩამოვარდა...

„არსენ ჯორჯიაშვილი თან ჩემი ძმა იყო“ სთქვა დიასახლისმა.

როგორ?! მართლა?! მითხარით...

და მას მიაპბო:

— არ მახსოვს მეონი, ცხრაას სამი იყო, როცა ის თბილისში ჩამოვიდა და რკინის გზაზე კონდუქტორად დადგა. სალდათობა ახალ გათავებული ჰქონდა. ცხოვრობდა საღვურის პირდაპირ ნაძალადეგში (შემდეგ ჩვენც გადავივარეთ ქალაქში). აქ ის ჩაება პოლიტიკურ მუშაობაში. ასრულებდა უმთავრესად ტერორისტურ აქტებს. ახალი მოძრაობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რკინის გზას.

რკინის გზის უფროსები „ძაღლები“ იყვნენ და მეფის ერთგულნი.

იასონმა მოჰკლა რკინის გზის უფროსი ვედენევი. ეს იყო მეონი ცხრაას ოთხში. შემდეგ, ავჭალის ახლოს მატარებელში მოჰკლა თუმანოვი, რომელიც არა ნაკლები „ძაღლი იყო“.

ისე მოახერხა, რომ თუმანოვმა მას სკანდალი დუწყო უბილეთო მგზავრის შესახებ.

დაიჭირეს, მაგრამ გაამართლეს, რადგანაც ბირველად თუმანოვი შეეხო, ცხვირზე ბილეთების საჭრელი დაარტყა, სისხლი აღინა და შემდეგ რევოლვერიც ამოიღო, მაგრამ იასონმა არათვა და მისივე რევოლვერით მოჰკლა.

გამართლეს, მაგრამ სამსახურიდან დაითხოვეს.

უფრო და უფრო გადაეშვა მოძრაობაში. ყველაფერი დაივიწყა.

ხშირად იტყობა: „ვინც დედის სიკვდილს გამაგებინებს კარგ მაკარიჩს გადაუხდია“.

ამას იმიტომ ამბობდა, რომ იცოდა რაც ხანი იყო, მასაც მოჰკლავდნენ და დედა ებრალებოდა.

მან მოჰკლა მოძრაობის უფროსი ბერტი და თბილისის სადგურის უფროსი ტერპოლოვი; კიდევ სხვები, რომლის შესახებ მე არაფერი ვიცი.

ხშირად სხვისი გვართი (ჯაფარიძე) და პარკით დადიოდა.

არსენ ჯორჯიაშვილს იგი ახლდა. ბოში იასონმაც ესროლა.

მაშინ ჩვენ ქალაქში არ ვიყავით. არსენა აწამეს, რომ გაეცა თუ ვინ ახლდა მას, მაგრამ არსენამ არაფერი სთქვა.

როცა გურია გადასწვეს და რკინის გზებზე არ იყო წესიერი მოძრაობა, ახალციხიდან გურიაში ფეხით ვადიარა. დაზარალებულთა სია შეადგინა და შემდეგ აქ მათ სასარგებლოდ ფული შეჰკრიბა.

მთავრობამ ჯაშუშებით გაიგო ყველაფერი, მხოლოდ ძნელი იყო დამტკიცება.

ცხრაას ექვსში, მეონი ნოემბერში, როცა რეპუტაცია გამარჯვებული გამოდიოდა, ის დაატუსაღეს თბილისში პირველი კლასის ბუფეტში და იმავე დღეს ორთაქალაში ციხეში გადაყვანის დროს გზაში მოჰკლეს ჯარისკაცებმა ოფიცერის განკარგულებით, თითქოს გაქცევა დააპირა.

როგორც იქმნა მკვდარი მოგვეცეს. წავასვენეთ გურიაში, ჩვენს სოფ. დვანაში.

მრავალი გვირგვინები წითელი ლენტებით და წარწერებით მოუტანეს.

ო, რამდენი უბედურება გამოიარა საწყალმა. იტყობა—ესლანდელ ბავშებს მოესწრება კარგი დროო.

აღსრულდა, მაგრამ თითონ ვერ ხედავს ამას და დავიწყებასაც მისცემია.

საწყლად იასონი...

დას ცრემლებით აევსო თვალები... მეც გავქვავდი... გავიფიქრე დავსწერ მეტი და შეეცოთხე;

— ხომ სიმართლა რაც მიაბმეთ?

მე მას არ ვახლდი, მარა ვიცი. რომ სიმართლეა.

შემდეგ ყველაფერს გვეტყობა“.

ჰამლეტი.



ქ ე ვ რ ა ლ ი ნ ა

ოქტომბრის ძლიერმა ქარიშხალმა წალეკა და გაანადგურა არა მარტო ბურჟუაზიული წყობილება.

მან მშრომელთა ზნე-ჩვეულებაც შეაქანა, შესცვალა და ძველი ტრადიციული ყოფაცხოვრება ახალ ნიადაგზე დააყენა.

— ვის არ უგრძენია ის ძლიერი ტალღა, რომელიც მუშათა უზნებს მოეღო, ეგრედ წოდებულ „**НОВЫЙ НАТ**“-ის სახით, შინაურ ყოფა-ცხოვრების გადახალისებისა და ძველის დამგრევე ძალად?

მუშები სტიკლებიან ძველ ადათ-წესებს და საკუთარ ტრადიციებს იმუშავებენ. მშრომელი მასა ამ ფრონტზე თვით იკაფავს გზებს, თვით ისახავს გეგმებს მუშათა კლასის მეთაურობით და წინამძღოლობით.

ინგრევა ძველი სამყარო, ახალი ქვეყანა შენდება—ქვეყანა ლაზაზი, განთავისუფლებული,

ავებული მეცნიერებაზე. ვის არ უგრძენია ეს ახალი სიო ჩვენი ცხოვრების სივრცეზე?

მე კი ვხეხე, განვიცადე ის, და ამ დღეებში მონაწილეც შევიქენი ამ ახალი ცხოვრების წესების შექმნისა, ჯერ უჩვეულო, უნახი, მაგრამ სალი და ლამაზი წესებისა.

ბორჯომის მუშათა კლუბი, ჩარხის წყალზე გავსებულია მუშებით.

დღეს აქ უჩვეულო სანახაობა არის.

ახალ ცხოვრებისათვის ამზადებენ ყრმას.

ქარხნის მუშას ამხ. ბუგაჩოვს თავის ქალის რევოლუციონურად სახელის დარქმევა ანუ ძველებურად რომ ვთქვათ „ნათლობა“ განუზრახავს.

— აღარ მინდა მღვდელი, დეე ჩემი ქალის სიცოცხლის დასაწყისი ნუ იქნება წაბილწული ცრულ მორწმუნეობით—განუცხადებია მას.

კომიაჩიკა, კომკავშირი, ადგილკომი, უპარტიო მუშები ყველა მოსულა აქ. ყველას აინტერესებს ეს ახალი წესი.

არავის არ უნახავს ეს პროცედურა და ექვობენ.

— არ კი გავაფუჭოთ საქმე.

— როგორ აჯობებს!

თბილისიდან ჩამოსულ ამხანაგს ეკითხებიან.

— შენ ხომ არ იცი, როგორია წესი, თბილისში ხარ, გეცოდინება.

ახალი საქმეა და ცოტა უხერხულათ გრძობენ თავს.

ჩვენ განა თვით ვერ შეექმნით წესებს?

თითქოს ცოტა დარცხენილათ უპასუხებს თბილელი ამხანაგი.

იმართება მსჯელობა და წესიც მზათ არის.

კრება იხსნება. ამხ. გ. ვარდოიანი იღებს სიტყვას და დამსწრეთ უხსნის ახალი წესის მნიშვნელობას.

— საუკუნოების განმავლობაში, ჩვენ რაღაც ღმერთებით ტ ეშმაკებით გვაფრთხობდნენ. დაბადებიდან სიკვდილის კარამდე ამ „ღვთის“ მსახურთა კლანჭებში ვიყავით და ისინიც სარგებლობდნენ რა ჩვენი სიბნელითა და უვიცობით, სისხლს გვეწოდნენ, გავწავლებდნენ...

დღეს დიდი რევოლუციის სხივებით გამთბარ მუშათა კლასს, მშრომელ ხალხს აღარ სჭირია თვალთმაქცების მახინციები.

ჩვენ აქ ჩვენს წრეში, ჩვენ ოჯახში, ამხანაგებისა და მეგობრებისა თანდასწრებით დავარქმევთ სახლს საზოგადოების ახლად შობილ წევრს, რათა მასაც მიჩინილი ჰქონდეს ქვეყანაზე ერთი ადგილი და ერთი სახელწოდებაც.

ჩვენ მას დავავალბთ აქ, ჯერ კიდევ სიყრმიდანვე მღვდრათ და თავდადებულათ თავის ძალონის მიხედვით ემსახუროს მშრომელ ხალხს, ჩვენ არ მივსცემთ მათ ძველ „წმინდანების“ სახელებს, რევოლუციის შვილებს რევოლუციის შესაფერისი სახელებიც უნდა დაერქვას.

— ჩვენ არა გვაქვს შემუშავებული ამ სფეროში წესები, მაგრამ ჩვენ ავაშენეთ, მუშათა სამყარო და ახალ ცხოვრებასაც შესაფერის ფორმას გამოუჩინავთ.

ძირს სიბნელე.

ათავებს ამხანაგი ვიგო.

ტრიბუნაზე აღიან ამხ. ვარნაზოვი, იველივეი, კრავცოვი და სხვები.

ისინი მუშური ენით ახასიათებენ ახალ ნათლობას და მის მნიშვნელობას.

სცენაზე ბავშვით ხელში გამოჩნდება ამხ. ბოგდანოვი და მშობლები.

— დღეს ამ ბავშვს სახელს ვარქმევთ, კომკავშირისა და კომპარტიის უჯრედები კისრულობენ მასზე შეფობას.

— ჩვენ დღეს ვარქმევთ ამ ყმაწვილს სახელათ „ჩვერალინას“ დღევანდელი დიდი დღის აღსანიშნავად.

დღეს მოხდა, ამხანაგებო, საქართველოს გასაბჭოება. ყრმამ ატაროს სახელი საქართველოს გამარჯვების დღისა.

— მოუარეთ ყმაწვილს და გაზარდეთ მისგან სახელოვანი წვერი მშრომელთა რესპუბლიკის ღირსი—და ამ სიტყვებით გადასცემს „ჩვერალინას“ მშობლებს.

მუსიკა ინტერნაციონალს უკრავს.

ასე შეიმუშავა ბორჯომში ქარხნის მუშებმა საკუთარი თავით ახალი წესი.

ეს პირველი რევოლუციონური ნათლობის დღე დიდხანს დარჩება კიდევ ბორჯომის მუშების მესხიერებაში.

- ნახე?
- აი ჩვერალინაც.
- აი შენი ნათლობაც.
- ეხლა გრძელ ანაფორიანებმა იკითხონ.
- დღემდის ეს ერთი შემოსავალი მაინც ჰქონდათ და ეხლა?

— იმუშაონ, გაისარჯონ და მათაც ექნებათ ლუკმა, ეყოფათ, რაც ჩვენს კისერზე ინავარდეს. ასე მსჯელობდნენ მუშები სიღამოს შემდეგ.

ასე ხდებდა რევოლუცია შინაურ ცხოვრებაში, მშრომელთა ოჯახში და ახალს ქმნის ლამაზი ფერებით დამშვენებულს და აქიქიყებულს.

ახალმა წყობამ უკვე შეანგრია ტრადიციული ოჯახის ქვის კედლები.

— აი ჩვერალინაც გაემეორებთ ჩვენც ბორჯომის მუშებთან ერთად. გვიანი.



„სხიველებს“ ორგანიზაციის ირვება.

დამოუკიდებელი ს.დ.მ.პ. ეს ერთად ერთი პირმშო შეილია მენშევიკური პარტიის და მასაც ისეთი ბედი უნდა ეწვიოს, როგორც ეწვია მენშევიკებს. მენშევიკებს 25 აგვისტოს თავისმა სულის ჩამდგმელმა ათეული წლების განმავლობაში მუშებმა და გლეხებმა უკანასკნელათ დაუსვენს ჯვარი და საუკუნით გამოეთხოვეთ. ეხლა ჯერი სხიველებზე მიდგა, რადგან სხიველებიც იმ პარტიტულ კომიტეტში იღებენ მონაწილეობას, რომელიც დღეს სამკვდრო სასიცოცხლო ბანდიტურ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს შეიგნო მუშებმა, იმ მუშებმა, რომლებმაც ათეული წლები გაატარეს რევოლუციონურ ბრძოლაში, ისინი ისე მოიქცენ, როგორც უნდა მოიქცეს ყველა პატიოსანი მუშა.

ზესტაფონ—შორაანის ძველმა მუშებმა, ეს ძალიან კარგა შეიგნეს, გააუქმეს მათი ორგანიზაცია და მოუწოდეს ყველა „სხიველებს“ დაადგენ იმ სწორ გზაზე, რომელზედაც დადგა

უპრეზიუმირილი

(სცენა ვი-ვივის ხმაზე)

- პირე.** გამარჯობა შენი, რად ხარ დაღერემილი? წამო, მეგობარო, რამეს გავკრათ კბილი.
- მეორე** გაგიმარჯოს, ძმაო; არ მაქვს ჰამის მადა. მაკლონალდმა ცნობა ჩირად გავგინადა.
- პირე.** სთქვი რაშია საქმე, თორემ ვასკდა გული. ნუ თუ დაივიწყა სიტყვა მეგობრული.
- მეორე** რაღა გითხრა, ძმაო; აღარ გეწყალობს ლმერთი. მაკლონალდმა იცნო საბჭოთა რუსეთში.
- პირე.** შხამად წაემწაროს, რაც პარტივი ვეციო. ტყვილად გამოვამღეთ კახურით და კვერცხით.
- მეორე** მე დიპლომატიის ცოლა ვამეგებო. აღბად ჩვენს საკითხზე შემდეგ ახიარდება.
- პირე.** თუ კი რამ ეუბიქრა ჩვენს დაღუბულ ბედზე — გამოილაშქრებდა საბჭოთა რუსეთზე.
- მეორე** შენ საიდან მოხვალ რა იცი ახალად?
- პირე.** აგიც დაღერემილა, ძმებო, აი ცნობა ვადამწყვეტი ბედის; საბჭოთა რუსეთში კავკასიაც შედის.
- სამივე** ეს რა არის... ვა-ვაი-ვაი... რა ცუდია... ჰო—ჰოი—ჰოი... ჩვენი დრო.

მენგო.

ჩვენი ყოფილი ამხანაგები 25 აგვისტოსო. ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისი, რომ ჩვენი გზა 25 აგვისტოს არჩეული იყო და არის სწორი გზა და ამ გზას ვერ ასცდება ვერც ერთი პატიოსანი რევოლუციონერი. გაუმარჯოს ზესტაფონ-შორაანის გამოღვიძებულ სხიველებს, რომლებიც სრული შეგნებით დაადგენ კომინტერნის გზას! გაუმარჯოს კომინტერნს, რომელიც მიიყენებს მათ და მთელი ქვეყნის მუშათა კლასს კომუნისტურად.

კ. თოფაძე.

რეზოლიუცია 27 თებერვალს მიღებული.

ჩვენ ზესტაფონის და შორაანის მუშები გავცეანით რა ამხ. თოფაძის მოხსენებას, რომ ს. დ. ს. დ. მ. პ. (სხიველების) ცეკა აქტიური

მონაწილე ყველა იმ ავანტიურისა, რომელსაც ჩადის დღეს მენშევიკების არაღვეალური ცეკა და პარტიტული კომიტეტი, ჩვენ ეგმობთ ასეთი საშუალებებით ბრძოლას კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ ღრმით გეწამს, რომ ბანდიტებთან კავშირით და რევოლუციის მტრებთან ბლოკში პარტიტულ კომიტეტით ჩვენ ვერ მივალწვეთ ჩვენს საბოლოო მიზანს, სოციალიზმს. ჩვენ ჯერ კიდევ 1920 წელში ავიმადღეთ ხმა მენშევიკურ პარტიის წინააღმდეგ, რომ ის მაშინ ასცდა სწორ გზას, და არც ერთი მუშათა ინტერესების დამცველი კანონი არ გამოსცა.

დროთა მსვლელობაში ჩვენი პარტიის ზედა ფენები ინტელიგენტები, ვადიხარენ მარჯვნივ მენშევიკებისაკენ და შევიდნენ პარტიტულ კომიტეტში. ბევრმა ჩვენმა ამხანაგებმა მუშებმა ც. კ. წვერებმა ჯერ კიდევ აგვისტომდის მიატოვეს ეს პარტია და დადგნენ 25 აგვისტოში მიღებულ ყოფილ მენშევიკების პლატფორმაზე. დღეს ჩვენ ღრმით დარწმუნებული იმამი, რომ 25 აგვისტოში აღებული გზა მ-III ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით არის ერთადერთი გზა სოციალიზმის განსახორციელებლად, დღეიდან ჩვენ ღრმა შეგნებით ვსტოვებთ ს. დ. ს. დ. მ. (სხიველების) პარტიას, უერთდებით 25 აგვისტოს ყოფ. ს. დ. მ. პ. წვერების დეკლარაციას და ვადამწყვეტილებებს. დღეიდან მთელი ჩვენი ძალღონით და რევოლუციონური გამოცდილებით ხელს შეუწყობთ საბჭოთა ხელის უფლებას ქვეყნის აღმშენებლობით მუშაობაში. ამასთან ერთად მოუწოდებთ ყველა ჩვენ ამხ. „სხიველებს“ დაადგენ ჩვენს გზას, ვინაიდან ეს არის ერთადერთი სწორი გზა რევოლუციონერი მუშისა და გლეხისათვის. ხელს ვაწვრთ:

1. ბეგლარ კვეტენაძე მუშა 1903 წ. პარ. წვე.
2. პაულე ჩოკორაია 1900 წ.
3. ილია აბულაძე 1904 წ.
4. ირაკლი მემანიშვილი 1905 წ.
5. ტრიფონ ფერაძე 1904 წ.
6. კალისტრატე არაბიძე 1908 წ.
7. ვასილ რაზმაძე 1902 წ.
8. ანტონ შენგელია 1920 წ.
9. რაფიელ მეგრელიშვილი 1903 წ.
10. ვანო გოგიაშვილი 1907 წ.
11. ვლადიმერ დიაკონიძე 1908 წ.
12. ისმაილ ლუთიძე 1903 წ.
13. პარმენ კვინიკაძე 1905 წ.
14. ილია ალაიძე 1917 წ.
15. ანებოტისტე ბარბაქაძე 1917 წ.
16. ვლადიმერ ბოგვერაძე 1918 წ.
17. კოლია მალრაძე 1905 წ.
18. ვანო ფერაძე 1918 წ.
19. იოსებ ჩხაიძე 1908 წ.
20. კოსტა კუპატაძე 1919 წ.
21. ალექსანდრე საცერაძე 1919 წ.
22. ალექსანდრე სანდრე 1919 წ.
23. სილიბისტრო კალაძე 1902 წ.



საქართველოს ალმასკომის ლი პოლიტიკის და თეორიის საბჭოს საჯარო სტრუქტურა.

25 თებერვალს იხსნება საქართველოს უზენაესი ორგანოს, ცენტრალურ ალმასკომის კომიტეტის მე II სესიის სხდომები.

ეს პირველი სხდომა საზეიმო სხდომა საქართველოში მშრომელთა ხელისუფლების დამყარების 3 წლის თავზე გამართული.

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებთან ერთად მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოსთან გაერთიანებულია ეს სხდომა.

ყ. სახაზინო, დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის საოპერო თეატრი ძლივს იტევს მოზღვავებულ ხალხს.

დღევანდელი საზეიმო სხდომა არაჩვეულებრივია თავის დანიშნულებით.

დღეს უნდა მოხდეს წითელ გმირთა დაჯილდოება.

— წითელ დროშის ორდენით.

საქართველოში გასაბჭოების დღიდან პირველი ასეთი შემთხვევა.

მ-ში წლის განმავლობაში ჩვენი პაწია ქვეყნის მშრომელთა ბატონობისათვის ყოფილ მებრძოლთ, უზენაესი ორგანო მადლობის ნიშნათ დღეს დაჯილდოვებს რევოლუციონერ წითელ ორდენით.

სხდომა მოგვიანებით იხსნება

6 საათზე ის დანიშნული, მაგრამ არც შეიძლება კიდევ გახსნილი.

8 საათისათვის იწვევა ფარდა და სცენიდან, სადაც პრეზიდენტი მოთავსებული, გაისმის ცენტრალურ ალმასკომის პრეზიდენტის თავმჯდომარის ამხ. მიხა ცხაკაიას მკვეთრი ხმა და ზარის წყარუნთ:

— ამხანაგებო საქართველოს ცენტრალურ ალმასკომის მე 2 სესიის პირველ სხდომას გახსნილათ ვაცხადებ—ამბობს ის.

ამხ. მიხა ჩვეულებრივად შინაარსიან და გრძელ სიტყვაში თვალს მიმოავლებს განვილი გზას, იგონებს მენშევიკების დროს, აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებულ მუშაობას და მისთან ბრძოლას, გადადის სოფლისა და ქალაქის ურთიერთობაზე და აცხადებს დამსწრეთ იმ ღონისძიებათ, რომელსაც მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება ეგრედ წოდებულ „მაკრატლის“ პრობლემის გადასაწყვეტათ.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას —

ათავეებს ჭილარა მებრძოლი თავის სიტყვას ტრიბუნაზე ამხ. სერგოჯამოიდის, წითელი არმიის არწივი.

ის დაწვრილებით, თავისებურად მარტივი ენით ჰყვება წითელ არმიის ძლიერებისა და სიმტკიცის ამბავს.

— წითელი ჯარი არ არის მტაცებელთა ლაშქარი.

— ჩვენი ჯარი ისახავს მიზნათ მუშებსა და გლეხების განთავისუფლებას და ამიტომაც არის, რომ ის ძლიერია, ამიტომაც არის მისი დაძლევა რომ ვერ შესძლო შავმა კონტრ-რევოლუციონერმა ძალებმა.

— წითელი ჯარი არავის შემოუშვებს ჩვენს საზღვრებში, მაგრამ ის დახმარებისათვის დაუწყონებლივ გაუწვდის ხელს ყველა ჩაგრულთ დედამიწის ზურგზე.

ამბობს ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე. ამხ. მიხა აქვეყნებს სიას იმ პირებისას, რომელთაც ცენტრალური ალმასკომის დადგენილებით მიენიჭა ჯილდო

— წითელ დროშის ორდენი.— აქ არიან ისინიც, ვინც თავისი ცხოვრება შესწირა რევოლუციის წმინდა საქმის და ბრძოლაში გმირულათ დაეცა.

აქ ისინიც არის, ვინც ჯერ კიდევ მომავალშიც მრავალ სასახელო საქმეს უქმნიან მშრომელთა რესპუბლიკას. არწივთა მწკრივი სცენაზე გამოჩნდება. უსაზღორო ოვეცია—მუსიკა.

ამხ. მიხა თვითვეულს დაივლის და ორდენს გადასცემს. სხდომამ 10 საათამდის გასტანა.

10 საათზე კი ამხ. მიხა ცხაკაია ალმასკომის და საბჭოს საზეიმო სხდომას დახურულათ აცხადებს.

მაგრი.

მუშათა ფიქილები

ზოგბიერთ მუშებს

მოინტელეგენტო ხალხში, რომელიც ეკუთვნოდა მენშევიკურ პარტიას, არიან ისეთი პირები, რომელნიც მაინც ვერ „თანხმდებიან“ ჩვენს გადაწყვეტილებას, განაგრძობენ ძველ ტრადიციულ დგომას და „თავმოყვარეობით გზით სიარულს“. ეს გასაგებია.

გასაგებია იმიტომ, რომ ასეთი ფერის ხალხი ეკუთვნის იმ წრეს, რომელსაც პარტია აინტერესებდა იმდენათ, რამდენათაც ეს საპირო იყო ადგილების საშოვნელად და სახელის გასაკეთებლად. დანარჩენმა, რევოლუციონერ მოძრაობასთან და მუშათა კლასთან მჭიდროთ დაკავშირებულ მომუშავე ინტელეგენტებმა კი გულწრფელად აღიარეს ახალი გზა და განაგრძობენ კიდევ მუშაობას მესამე ინტერნაციონალის გზით მიმავალ მუშებთან ერთად. ჩვენ, რასაკვირველია, არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევთ და არც მივსცემთ შემდეგშიც პირველების არც უშინაარსო ლაპარაკს, არც ჩუმი, გაბუტებითი ბოიკოტებს... პირიქით, ისინი თანდათანობით თვითვე რწმუნდებიან თავიანთ საქციელის საყოლაგობაში და საყოლაგებადაც რჩებიან. და მე მგონია ეს ჩაითვლება საუცხოო სისულელედ, იმიტომ დავანებებ კიდევ მათ შესახებ, ლაპარაკის გაგრძელებას.

ვერაა გასაგები მხოლოდ ზოგიერთ იმ მუშების საქციელი, რომელნიც ერთგვარ იარაღათ არიან გადაქცეულნი ზემო აღნიშნულ ფერის ხალხის ხელში და თავიანთ ისინუსტის წყალობით ვერ „უტეხენ ხათრს“ და განაგრძობენ „არც აქეთ, არც იქეთ“—ის ადგილზე დგომას... მუშას, თავის კლასიურ ინტერესებ შესწავლულ რევოლუციონერს, არ შეგვიერის, არც ეპატიება ასეთ დადუმებულ გაუგებრობაზე დგომა. სრულიად მიუღებელი, გასაკიცხავიეა საქციელი მაშინ, როდესაც გულში დარწმუნებული ხარ, მაგრამ ვილაცას უნახავ ხათრს, და ამ ხათრის გულისთვის ვერ იცავ შენს რწმენას... დღეს სწორედ ასეთებს ემგვანებიან ყველა ის მუშები, ვინც ბრმა იარაღათ იქცევიან ვილააცების ხელში ღ ეწინააღმდეგებიან მუშათა საერთო გამარჯვებას. პოლიტიკურ და ფიზიკურ ბრძემისთვისაც კი აშკარა გახდა დღეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის მუშური, გლეხური და ყველა დაჩაგრულთა დამცველი. საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლო-

ბითი მუშაობის შესახებ მრავალზე მრავალჯერ არის დაწერილი, ამიტომ დავანებოთ მისი საერთო საქმიანობაზე ლაპარაკს და ავილოთ თუ ვინდ მუშების და გლეხებს შორის გაწეულ განათლების საქმე. მე მახსოვს ძველი „შავნელ წლები და დღეები ჩვენი ცხოვრებიდან. წერაკითხვის არამცოდნე მუშებისათვის თუ არსებობდა საღამოს სკოლები, მეფის აგენტები იქერდენ საღამოს სკოლებში მოსიარულე მუშებს ქუჩებში და თვით სკოლებშიაც, ხურავდენ ამ სკოლებს და იქერდენ მასწავლებლებსაც. სულ სხვა სურათს ვხედავთ დღეს. გარდა ჩვეულებრივ სკოლების გრცელ ქსელისა არსებობს 700-ამდე სკოლები საქართველოს ქალაქ და სოფლებში, სადაც სწავლობს 20 ათასზე მეტი წერაკითხვის არამცოდნე მუშები და გლეხები. ეს საუცხოო საქმე ვერც მენშევიკურმა მთავრობამ მოაწყო თუ ვინდ თბილისში მაინც. პირიქით, სკოლები ისევ სამღვდელთა მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და მუშა—გლეხები ისევ რჩებოდა სწავლის გარეშე. მე მახსოვს, მაგალითად, 1920 წელს ქალაქის საბჭოს სხდომაზე ერთგულ-დემოკრატიულ ფრაქციის წევრ „ხმოსან“—მღვდელ თალაქვანძის გამოსვლა, სადაც იგი გვეკამათებოდა მუშებს, რომ თვით იგიც დემოკრატების წარმომადგენელი ბრძანდება და სკოლის კი მასწავლებელიც.

სხვა მრავალ აღმშენებლობითი საქმიანობათან ერთად, რომლის მოწმენი ვართ ჩვენ ყველანი, ეს მნიშვნელოვანი ფაქტიც დამარწმუნებელი ფაქტია იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა ეს არის მუშების მთავრობა, რომლის საწინააღმდეგოდ არაფრის თქმის საბუთი არ შეიძლება ჰქონდეს არც ერთ მუშას, თუ იგი არ არის მუშების გამარჯვების მოწინააღმდეგე მტერი. მე კი ვიცნობ ბევრს ძველს მუშებს, რომელნიც არსებითად არ არიან ასეთები, მაგრამ მაინც რაღაცნაირად ერიდებიან და გაბედულათ ვერ ამბობენ, ვერც შერებიან იმას, რასაც გრძნობენ და ფიქრობენ

აი სწორეთ ასეთებმა უკუ უნდა ავდონ ყოველ ვეარ ჭოროკანების ნალაპარაკები და დადგნენ მუშათა დიქტატურის გზაზე. ეს არის ჩვენი საბოლოო გამარჯვების გზა.

შორს ჩვენან მუშათა წრეებში გათიშვის შემომტანი ყოველ ვეარი შავი ძალები...

ძველი მუშა.

უკანასკნელი იმედის დაინგრა

ამ დღეებში ვაჭებში ვკითხულობთ სხვადასხვა ავანტიურისტთა ბუდეების ნგრევის შესახებ. ისე მარჯვით სდგას დღეს საგანგებო კომისიის თვალი მუშათა კლასის მონაპოვართა დასაცავათ, რომ ვერაფერია მოლაღატურად მომქმედი პიროვნება ვერ გამოეპარება მას.

ამ ბოლო დროს მისმა ფეხზეღმა თვალმა შესარულა კიდევ ერთი საგმირო მოვლენობა, რომელიც მას ჰქონდა დაეაღებული. მან შესძლო ძირიან-ბუდიანათ ამოგდება ავანტიურისტთა პიროვნებების, ჩვენ ვნახეთ წარსულში მათი უმჯავესო მოქმედებანი, რომელთა მოქმედებებთაც იქნა მრავლათ ჩათრეული და აწიოკებული უდანაშაულო ხალხი. არ იქმარეს ის, რომ თავიანთ ბატონობის დროს თვალებს უხვევდენ თავიანთ მიერ შეითხზილ დამოუკიდებლობით და ყოველ მხრივ სარგებლობდენ მიუღებულ ორგანიზმით მშრომელთა მასისა. რა ხდება მათ შემდეგ, რომლებმაც თავი შეაფარეს ევროპის ბურჟუაზიას და იქიდან დაუწყეს დირექტივების მიცემა აქ დარჩენილ რენეგატებს, მერე როგორ შესარულა აქ დარჩენილმა პიროვნებებმა თავიანთი მოვალეობა? ისინი შეუერთდენ ბანდიტ ჩოლოყაშვილს, რომელსაც ვითომდა ძალიან გული შესტკივა საქართველოსთვის. ჩოლოყაშვილმა უფრო უარესათ ააწიოკა ხალხი და გაანადგურა არემარე, მენშევიკური ცეკა მის მოქმედებას დიდ დახმარებას უწყევდა.

შემდეგ ამისა აწყობენ სხვადასხვა ადგილებში საიდუმლო სტამბებს და ავრცელებენ ათასნაირ კორს „ჩვენი ერთობის“ №-რებს.

ამ ერთი წლის განმავლობაში, როგორც ვაჭებების ცნობით ვიცით, საგანგებო კომისიამ აღმოაჩინა ოთხი სტამბა და მე ვეფიქრობ, რომ ეს იქნება უკანასკნელი, მათ აწი ვეღარ ეღირსებათ თავიანთ კორების გავრცელება. ასევე ითქმის თვით სამოზანსკურ ცეკის ბელადებზედაც, რომელნიც დღეს მოთავსებული არიან „ჩეკაში“, საიდანაც ვეღარ შესძლებენ ვერაფერით კორების გავრცელებას და ბანდებთან კავშირის გაბმას.

იმედია მალე შეეიტყობთ, რას მოგეცემს ის საბუთები და მიწერი-მოწერა, რომელიც აღმოაჩინდა დაპატიმრების დროს გოგია ფადავას და გიორგი წინამძღვრიშვილს.

მუშა სიმონა.

საპირო. სპეც

მიმდინარე წლის 16 თებერვალს ტფილისის დეპოს საშეფო კომისია ეწვია თავის საშეფო რაიონს ქარელს. კომისიამ გადასცა ხსენებულ რაიონს რამოდენიმე ათეული ცალი ახალი ლიტერატურისა, 100 თანა რვეული და 48 ფანჯარი. ადგილობრივ ხელისუფლების მიერ მოწყობილ იქნა თათბირი. პირველ რიგში დიხდა საყურადღებო საკითხი გლეხობის მატერიალური მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა. მოხსენებიდან აღმოჩნდა, რომ ბევრი გლეხი, განსაკუთრებით შორეული სოფლების, მოკლებულია საშუალებას ცოტათი მიინც გვირაფი ჩაცმა-დახურვისა—მანუფაქტურის ნამე-

ტანი სიძვირისა გამო. გლეხებმა აღნიშნეს, რომ იმ დროს, როცა ცენტრში ფასები ქალაქის პროდუქციაზე საგრძნობლათ კლებულობს, სოფელში ამ სამხიარული მოვლენას ადგილი არა აქვს; თუმცა ქარელის თემში რამოდენიმე ადგილას არის კოოპერატივი. მაგრამ ისინი ქალაქის ნაწარმოებებს ყიდიან ისეთივე ფასებში, რა ფასებშიაც ყიდიან მათი ადგილობრივი სპეკულიანტები. ეს გარემოება კი გლეხებში კოოპერატივის ავტორიტეტს სცემს. ამის გარდა, უბედურება იმაშია, რომ გლეხებს (ყელათ) ესმით ჩერვონცებზედ გამოანგარიშება, რის გამო გლეხი კარგავს თავისი ნაწარმოების გაყიდვის დროს. ადგილი წარმოსადგენია გლეხების სამართლიანი უმჯავოფილება, თუ მან ვაიტანა თავისი ნაწარმოები, გაყიდა ის, დაბრუნდა სახლში, ხოლო ერთი კვირის შემდეგ უბრუნდება რა ბაზარს იმავე ამიერკავკასიის ბონებით, არა აქვს შესაძლებლობა ამ ბონებით იყიდოს თუნდაც მისი ნახევარი: ხშირათ ნახევარზე ნაკლებიც, რასაც ის იყიდდა ამავე ბონებით იმ დღეს, როდესაც აიღო ბონები. მეორე საკითხათ დასმული იყო საკითხი გადასახადების შესახებ. გაისმა გლეხების საჩივარი: აი, თქვენ ამბობთ ერთიან გადასახადზე, ხოლო რამდენია ამასთან ერთად სხვა გადასახადი? მაგალითად, გერმანიეთის პროლეტარიატის სასარგებლოთ, საპაერო ფლოტის სასარგებლოთ და სხვადასხვა. ყველა ამ გადასახადებს კრებენ ხანდახან იძულებითაც. მოყვანილ იქნა შემდეგი მაგალითიც: ერთ სოფელში გლეხებმა გატეგორიულათ განაცხადეს, რომ მათ მეტის გადახდა არ შეუძლიათ, რომ მათგან ისედაც ყველაფერი წაიღეს, ხოლო თუ მოითხოვენ კიდევ, დეე, წაიღეს უკანასკნელი ქუდიცო.

ასეთ საჩივრებს საქიროა მიექცეს სათანადო ყურადღება.

რაც შეეხება პოლიტიკურ მუშაობას ქარელის თემის სოფლებში ეს მუშაობა მიდის წარმატებით. საერთოდ, გლეხობა ლოიალურათ არის განწყობილი საბჭოთა მთავრობის მიმართ. სხვათა შორის შეეკითხნენ გლეხებს, თუ როგორ შეხედენ ისინი მსოფლიო რევოლიუციის ბელადის ამხ. ლენინის სიკვდილს, გლეხებმა უპასუხეს, მართლაც რომ პროლეტარიატმა და გლეხობამ დაჰკარგა ერთი მასწავლებელი და ხელმძღვანელიცო. ეს სოფელში კი კრებაზედ ისიც გადაეწყვიტათ, რომ მოყვანათ ხარი და დაეკლათ განსვენებულის პატივსაცემით. მაგრამ ეს, რასაკვირველია მთავრობამ აკრძალა.

საშეფო კომისია ვახდა მოწამე ერთ სამწუხარო მოვლენისა. იმ დროს, როდესაც ქარელის რაიონში ტფილისზე უფრო ცივა, იქ მილიცია თითქმის ტიტველია, მილიცია დღემდე საზაფხულო ტანისამოსშია, შინელი არა აქვს, რაც დაუწყებელია.

საშეფო კომისიამ მიიწვია თავისთან „ზაქტეპო“—იარმურკა-ბაზრის ვასამართავდ, მართლაც მოვიდა სამი მაღაზია ბორბლებზე და ერთი რონადი (барон) მარლი 1000 ფუთამდე, მიუხედავათ იმისა, რომ ავღარი იყო, ვაჭრობა კარგათ მიდიოდა. გაიყიდა ბევრი მანუფაქტურა და 700 ფუთი მარლი. ბაზრის გამართვის შესახებ გლეხებს შეატყობინეს წი-

ნა დღით, რითაც გლეხობა კმაყოფილი დარჩა. საქიროა ასეთ ვაჭრობებს ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიაქციოს ყურადღება, ვინიდან ქარელის ბაზრობას ესწრება ასამდე სოფელი. ამისთვის საქიროა ვახსენას „ზაქტეპოს“ ფართე კრედიტი მანუფაქტურის ვაცემით, რადგანაც ამ უკანასკნელს ეტყობა ცოტა აქვს მანუფაქტურა.

ჩემის აზრით ჩვენი მთავრობა დაინტერესებული უნდა იყოს მანუფაქტურის ფართო გავრცელებით უფრო, ვინემ „ზაქტეპო“ ამიტომ საშეფო კომისიას იმედი აქვს, რომ მანუფაქტურის საკითხი სათანადოთ მოვეგარებული იქნება, რაც მოგეცემს საშუალებას ვაგმართოთ იარმურკები სისტემატიურათ. ეს კი „მაკრატლის“ საკითხს საბოლოოთ გადავვიჭრის.

ლუკაშვილი.

საბურთალო

აქ კვირას, 3 თებერვალს ვიშართა ვრ. ქორქაძის და ვ. მენლაძის ინიციატივით და ჩიტო თხილბაძის მხურვალე თანამშრომლობით აქაური მე 13 სკოლის მოწაფეთათვის უფასო საბავშო დილა, რომელზედაც იყვნენ მოწვეულნი ამ სკოლის გამგე ყველა თავის თანამშრომლებით.

დაიდგა: 1) გიორგი ქუჩიშვილის— „კომუნიზმი“. 2) „უნტროსი“ და დივერტისმენტი.

მონაწილეობდნენ ქორქაძის ხუთი ბავშვი, დემა ჯალალოშვილები და სხვანი.

დაწვევის წინ, სანამ ფარდა იხსნებოდა, მშობლებმა და საერთოთ საზოგადოებას მღაბიო, მაგრამ ვარკვეული და თბილი ლამაზლობელი სიტყვით მიმართა ჩიტო თხილბაძემ ადგილობრივ ექიმს ფ. ჩხეიძეს და ამ სკოლის გამგეს ნინა ძიძიგურს თანამშრომლებითურთ, რომელთაც დიდი ამაგი და ღვაწლი მიუძღვით ამ სკოლის და საბავშო ბაღის საკეთილდღეოთ.

მადლობაზე პასუხი ვაცა ნინა ძიძიგურმა და ვანცხადა, რომ ყოველგვარ ძალ-ღონეს მოახმარს საბურთალოზე სწავლის საქმეს და იმედიც აქვს, რომ დღევანდელი ხელისუფლება, როგორც ღარიბი უბანს სათანადო ყურადღებას მოგვაქცევსო ექიმს ჩხეიძეს კი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო დილას.

ჩინთანინი.



8 საათის საშუაოდ და სონილ-დემოკრატიკა

კაპიტალისტური ქვეყნები მკაცრ შეტევას აწარმოებენ პროლეტარიატის მონაპოვართა წინააღმდეგ.

ფრთხვ შესწმული ფაშიზმი, იერიშს იერიშზე აწარმოებს რევოლიუციონურ მუშათა კლასის წინააღმდეგ და აცლის რა სისტემატიურად ბრძოლითა და სისხლით მოპოებულ უფლებებს, სცილილობს მის საბოლოოთ წელში მოტეხას და დამორჩილებას.

ამ ჟამათ მკაცრი შეტევა დაიწყო კაპიტალმა რვა საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

ეს ერთად ერთი მონაპოვარი, რომელიც შერჩენია მუშათა კლასს, რევოლიუციონურ

აჯანყების შედეგად დღეს საგრძნობი საფრთხის წინაშე სდგას.

როგორც უტყობა, კაპიტალი აქაც თავისას გაიტანს მიუხედავად იმისა, რომ მუშათა ფართო წრეები სასტიკი წინააღმდეგობის გზაზე არიან შემდგარი. გაფიცვების ტალღა, რომელიც მთელ გერმანიაში არის მოძებნილი, სწორედ 8 საათის სამუშაო დღის დასასრულად სწარმოვებს.

მაგრამ ეს ბრძოლა, გაფიცვებისა და წინააღმდეგობის სახით, რომელსაც ასეთი თავგამოდებით აწარმოებს მუშათა კლასი, შეიძლება ითქვას წინ და წინვე, საგრძნობ ნაყოფს ვერ გამოიღებს, რადგან აქაც, როგორც ყოველთვის რევოლუციონერ მუშათა კლასს ფეხებში ებნადება, გასაქანს არ აძლევს „მოკეთე“ სოციალ-დემოკრატია. ვამომდინარე ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პრინციპიდან, სოციალ-დემოკრატია თავს ევლებს, ამ ძირ მოქმულ საზოგადოებას.

ის სცდილობს როგორმე გამოიყვანოს ქუჩა-ბანდში მომწყვედელი კაპიტალისტური საზოგადოება გაშლილ გზაზე სათარეშოდ და ამ მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ დავიდევს. ბურჟუაზია კი, განსაკუთრებით გერმანიაში, საშინელ ჩიხში არის მომწყვედული.

იმპერიალისტური ომის შედეგები, უამრავი კონტრიბუციის სახით, საშუალებას არ აძლევს მას წელში გასწორდეს. მრავალსაწარმოო რაიონების ჩამორთმევა, როგორცაა მაგალითად ზემო სილეზია, რეინის ნაპირები და ბოლოს რური მიდდარი მანდელბოიტი; და განვითარებული სამრეწველო წარმოებებითა, ფრიად აძნელებს წმინდების მოწესრიგების საქმეს დაქუცმაცებულ გერმანიაში. | და აი გერმანიის ბურჟუაზია სცდილობს როგორმე თავი დაახსიოს ამ ქუჩაბანდს და მოაწესრიგოს საკუთარი საქმეები.

ის სცდილობს კონტრიბუციის და რეპარაციების ცენტრის გადატანას პროლეტარიატის და მშრომელი ხალხის ზურგზე, მას არ სურს არც ერთი შილინგის გაცემა საკუთარი სკელი ჯიბიდან სარეპარაციო ვალების გასასტუმრებლათ.

ამ მიზნით ის სცდილობს გაადიდოს სამუშაო დღე, ამუშავოს, გაეკლიფოს, შედმეტი სარგებელი აიღოს პროლეტარიატის ზურგზე და იქიდან დაფაროს ავაზაკური ომის მიერ გამოწვეული ხარჯები.

ამ მიზნით ის გადავიდა შეტევაზე მუშათა კლასის წინააღმდეგ და საკანონმდებლო წესით მთელ გერმანიის ტერიტორიაზე დააკანონა გადიდებული სამუშაო დღე.

რას აკეთებს ამ დროს სოც.-დემოკრატია? ეს სიტყვით, როგორც დამცველი და მოქმევე პროლეტარიატისა, ხოლო საქმით კი უახლოესი თანაშემწე და მეგობარი ბურჟუაზიისა.

ის უარს ამბობს თავის პროგრამა-მინიმუმის ერთ-ერთ უმთავრეს პუნქტზე 8 საათის სამუშაო დღეზე და მოუწოდებს პროლეტარიატს დაემორჩილოს მთავრობას, ვინაიდან ამას მოითხოვს „სამშობლოსა“ და „ერის ინტერესები“.

არ რიგად სოციალ-დემოკრატია იერთებელ კიდევ დაამტკიცა თავისი შოლატეობა მუშათა კლასის მიმართ.

ბურჟუაზიის ერთგულ მონას და მოსამსახურეს, რომელსაც უბატონოდ ვერ წარმოუდგენია ქვეყნის არსებობა, სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო.

ეს ნაბიჯი ლოლიკურად ვამომდინარეობს, სოციალ-დემოკრატის მთავარ გეზიდან, რომელსაც მიყავს ის რეაქციონერ ძალებთან კავშირამდის.

გერმანიის პროლეტარიატი არ დაემორჩილა უხმით ამ უსაშინლეს უზურპაციას მისი უფლებებისა.

მან სცადა გაფიცვების საშუალებით შეენარჩუნებინა 8 საათის სამუშაო დღე, მაგრამ აქაც სოციალ-დემოკრატია ჩაერია და გაფიცვები დაამარცხდა.

მაგრამ რევოლუციონერი მუშათა კლასი არ სცხრება. დღიდან დღეზე მოდის ცნობები, რომ ხან აქ ხან იქ კვლავ იფეთქებენ ხოლმე მასიური გრანდიოზული გაფიცვები, რევოლუციონერი პროლეტარიატი ასე იოლად არ დანებდება მტერს.

შეიძლება ჯერჯერობით ის იძულებული შეიქნეს დათმოს 8 საათის სამუშაო დღე, მაგრამ ეს მხოლოდ იმის ნიშანი იქნება, რომ ის ახალ ძალებს იკრებს და ემზადება საბოლოო შეტევისათვის, აჯანყებისათვის, რომელიც ბურჟუაზიულ ქვეყანას ძირიან-ბუდიანად აღმოუხვრის და მის ერთგულ დარაჯს—სოციალ-დემოკრატიასაც უკან მიაყოლებს.

ამის თავიდან გერმანიის კომუნისტური პარტია არის.

ვ. ბ.

დამღვრული, აქაფებული ტალღებით?..

ან კიდევ აი ის დიდი სურამის მთა...

სამი წლის წინ სწორედ ამ დროს აქ კიდევ ბრძოლა იყო.

თოვ ზარბაზნები გუფუნებდა და არღვედა დარბაისლურ სიმშვიდეს...

ნაწილები ნაწილებს მისდევდა.

და აი სამი წელი გავიდა უკვე მას შემდეგ, რა ჩქარა გადის დრო?

ელა უკვე მე მივეგზავნებები იმ ადგილებში, სადაც მიბრძოლია, რათა მიულოცო ჩენს ამხანაგებს, მუშებს, გლეხებს, საქართველოში მშრომელთა ხელისუფლების დამყარების სამი წლის თავი.

სადგური მორთულია, ამწვანებული.

ვისწრაფი მუშათა კლუბისაკენ, სადაც საზეიმო სხდომა უნდა გაიხსნას მუშებისა და გლეხების.

აი კლუბი—გაცემული მოხდაცემული ხალხით.

თითქოს სახლშიც არგინ დარჩენილა: დიდი პატარა, ქალი, კაცი, სულ აქ მოსულან.

მაგრამ არ გაისმის ხალხში ჩვეულბერები მზიარული სიცილი. სევდის ელფერი თან აკრავს მისსას და გიკვირს, საზეიმო დარბაზი რათ არის ნისლით გადაფერული.

ლენინის სურათი.

თაღზე ფერებით.

აი მიზეზი სევდისა.

მშრომელი ხალხი დღეს დღესასწაულებს თავის გამარჯვებას, მაგრამ აღარა ჰყავს თავის რიგებში დიდი ბელადი, მასწავლებელი; თავს იკავებს ზეიმისაგან.

საქმიან მოგონების დღეთ აქცევს თავის გამარჯვების წლის თავს, თვალს ავლებს განვლილ გზას და ემზადება ახალსათვის.

კლუბში მრავალი ნაცნობებია... ვინც დღემდის ჯიუტობდა, ძველ გზას შერჩენოდა და ვეღარ მოეხერხებია მისგან გადახვევა, დღეს ისინიც აქ არიან და ხელს გვიწვდიან ჩვენ...

პარტიკომის მდივანი საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს.

სიტყვა მარია ორახელაშვილს ეძღვევა.

ტრიბუნაზე გამოდის ქალი.

ლამაზი, მოხდენილი სიტყვით გადაუშალა აუდიტორიას თვალ წინ სამი წლის ნავალი გზა ეკლიანი, მძიმე, წამებითა და აუტანელ შრომით ასაყე.

რამდენი რამ ყოფილა გაკეთებული, მართლაც გმირული თავდადება და უანგარო შრომა ხალხის საკეთილდღეოდ შესძლევს მხოლოდ ისეთ ვეებერთელა მუშაობის, გაკეთებას აბნეული საქმეების მოგვარებას, მოწესრიგებას. და კიდევ ახალს შენებას, კეთებას.

გახსნილია ახალი შკოლები, საავადმყოფოები, შენდება ელექტრო სადგურები...

აბა ვინ ჩამოთვლის რამდენი რამ გაკეთებულა ამ 3 წლის განმავლობაში მშრომელი ხალხის მიერ?!

ყველაფერის ჩამოსათვლელათ არა ერთი და ორი მოხსენებაა საჭირო.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს—ამთავრებს ამხ. მარია თავის შინაარსიან გრძობიერ სიტყვას.

ძლიერი ტაში ფარავს მომხსენებლის უკანასკნელ სიტყვებს.



წერილები პროვინციიდან

25 თებერვალი ხაზურში

საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავის დღესასწაულზე დასასწრებლათ მივემგზავრები ხაზურში.

უკვე კარგა ხანია აღარ მენახა დეპოს მუროთ გასერილი ხაზური. სიამოვნებით მივემგზავრები.

ვისწრაფი ვინახულო ამხანაგები, მუშები, რომლებთანაც ერთად მრავალი წლების განმავლობაში გვიწარმოებია ბრძოლა ცარიზმის

მძიმე უღლის წინააღმდეგ, მიმუშავნია მენშევიკურ პარტიაში, შემდეგ მათთან ერთად მიბრუნებია პირი და მივსულვარ რევოლუციის წმინდა, წითელ დროშის დამცველთა რიგებში. რამდენი მოგონებები აღიძვრიან, გორის მოტიტელბული მინდორ ველების დანახვისთანავე...

რამდენი ბრძოლებისა და გმირული თავდადების შემსწრეა მოდულუნე მტკვარი, ბორჯომის შემწვანებულ ხეობას, რომ ჩამოურბის

აწყება მისალმებანი.

ერთი მეორეს სცლიან ტრიბუნაზე პარტკომის, კომკავშირის, პროფკავშირის და სხვა-დსხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დაბოლოს ტრიბუნაზე ამხ. ვარდოიანი აღის. ამხანაგებო! მე მინდა ორიოდე სიტყვით გაგაცნოთ თუ რა გაკეთებულა ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენს იდეოლოგიურ ფრონტზე, როდესაც საქართველოში გაბატონებული მენშევიკური პარტია გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. დღეს ეს პარტია აღარ არსებობს.

თვალს ავლენს საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის განვლილ გზას, რამოდენი დაბრკოლება გადაილახა ამ მოკლე ხანში.

კომ. პარტიამ ბევრი განსაცდელი გამოიარა, ბევრი იბრძოლა მის წინააღმდეგ, მაგრამ მე მ-ვე წლის თავზე მშრომელი ხალხის ბატონობა იცნო და აღიარა ყველამ, გარდა თითო ოროლა ავანტიურისტებისა.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ სწორად აღებულია გეზმა, დაშალა, ნიადაგი გამოაცალა ბრძოლისათვის მოწინააღმდეგე პარტიებს. და აი ჩვენ დაინახეთ, რომ თანდათან დიმილა მუსავაგისტების პარტია, მათ დაშნაკლებიც მოჰყვა, დაიშალა ესერების წერილი ბურჟუაზიული პარტიაც.

აქ საქართველოში ყველაზე უფრო ძლიერი პარტია მენშევიკური იყო, მას ფართე ქსელი ჰქონდა გახლართული მშრომელთა მასებში, მაგრამ ის ასცდა სწორ გზას, გადაიჩეხა ნაციონალისტურ ჭიკობში და ამიტომ მშრომელმა ხალხმა იბრუნა პირი მისი რიგებიდან და წითელ დროშასთან მივიდა ისევ.—

ამხ. ვარდოიანი დაწვრილებით შეჩერდა მენშევიკების დაშლის გამოწვევებ მიზეზებზე და დაასრულა თავისი სიტყვა.

დღეს მრომელთა ოჯახი გაერთიანებულია ერთი დროშის ქვეშ და იბრძვის ერთი მიზნის განხორციელებისათვის მჭიდროთ შეკავშირებული.

— გაუმარჯოს მუშათა მთლიან ოჯახს.
— გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციასო. პარტკომის მდივანი სახეიმო სხლომას დახურულათ აცხადებს.

გაისმის ინტერნაციონალის ძლიერი ხმები. ნელ ნელა მუშა-მოსამსახურენი იშლებიან.

დღეს დემონსტაცია არ იქნება.

დღეს ძველი გზის გადათვლიერებას მიეცემა მუშა, ჩაუთქვრდება შეცდომებს, უარპყრფს მათ, და გამოიკვლევს მტკიცე ურყევე გზას.

მეთოხე წლის თავის ის მთლიანად გამარჯვებული გამოვა ყველა ფრონტზე.

დარბაზი მორთული იყო რევოლუციონერების სურათებით, ამხ. ლენინის სურათი კი ჩამული იყო შუაში შავი ძაძით შემოსილი.

სილამო გახსნა მოწვეფთა წრის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ლუსიკ ყაზარიაძე, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა ამხ. ლენინის შესახებ, რის შემდეგ მომდერალთა გუნდმა მასწავლებელ იე. დავითიანის ლოტბარობით შეასრულა სამგლოვიარო ჰიმნი. სიტყვები წარმოსთქვეს სკოლის გამგემ ამხ. პ. არუთუნიაძე, ლუსიკ ოპანიანი, არტაშეს დავითიანი, სტეფ. მალიანი, სტეფ. შვიანიანი, ბარს. ჩარეჭიანი და სურენ ტერ-დავითიანი; გაგვაცნეს ამხ. ლენინის ბიოგრაფია, დაახასიათეს როგორც ხელმძღვანელი და პროლეტარიატის გზის მარხენებელი ერთად ერთი ვარსკლავი.

ყოველ სიტყვის დასასრულს გუნდი ასრულებდა „Мы жертвам patria“ სამგლოვიარო ჰიმნს, მხოლოდ დამსწრე მრავალი საზოგადოება ფეხზე დგომით პატივს სცემდა ამხ. ლენინის დაუფიყვარ სხოვნას.

დასასრულ წაითხული იქნა რეზოლიუცია, სადაც მოწვეფნი რიუთქემენ და ფიცსა სდებენ გაატარონ როგორც სკოლაში, ისე ცხოვრებაში ილიდ მასწავლებელ ლენინის იდეები და ფაქტობით მოუვლიან მის მიერ ხელმძღვანელობით მოპოებულ თავისუფლებას.

სილამო დამთავრდა მ საათზე და დამსწრე ხალხი დაიშალა ლენინის იდეალებით და სახელით გამსჭქალული.

მე-VII ჯგუფის მოწაფე.

არტაშეს დავითიანი.

ჩვენი რიგები.

სიმართლემ თავისი ნაყოფი გამოიღო, ჩვენი რიგები დლითი-დღე მაგრდება. მოგვემატა ძლიერი მარქსისტი, ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი სეით დევდარიანი.

ჩვენ კიდევ აგვისტოში გვწამდა ყრილობის სილიადე, იმიტომ იყო, რომ მიუხედავად მოწინააღმდეგის მიერ ათასგვარი ჭორების გავრცელებისა (მკითხველს ესხომება როგორ მოგვნათლეს ჩვენ ჩვეის „ჯაშუშებათ“ შ. გ.) ჩვენ სრული სიმტკიცით და რევოლუციონური შეგნებით მივდიოდით დასახული გზით, მაგრამ მაინც არ მოველოდით ასე მოკლე ხანში ასეთი ილიდ გამარჯვებების მოიწვევას. დღეს თამამათ და ვაღ.ჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან არის თეორია და პრაქტიკა ძველი მენშევიზმისა, ჩვენთან არიან მუშური ელემენტები, ეს პრაქტიკა პარტის, და ჩვენთან არის სეით დევდარიანი ეს თეორია, სოც. დემოკრატიულ პარტიისა არა თუ საქართველოს მასშტაბით, არამედ მთელი რუსეთის. მე დარწმუნებული ვარ ყველა გულწრფელ მუშას, ყველა პარტიისან მარქსისტს თვალეში სიხარულით გაუბრწყინდებოდა, როცა დახედავდა სეით დევდარიანის „საბოლოო სიტყვას“. „მიემართავ ყველას სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან გამოსულებს.— ნულარ დაიწყებთ აქეთ იქით ქანაობას, არ შეგვრყესთ ხელში დროშა მუშათა კლასის დიქტატურის, შემიქდროვდით ამ დროშის ქვეშ. თქვენ უნდა ამოვიღევენ გვერდში ვინც არის კიდევ დარჩენილი პარტიაში. მე ვიქნები თქვენთან ერთად.“—აი სეითის

საბოლოო სიტყვა, აი კიდევ ჩვენი გამარჯვების ერთი ლამაზი ფურცელი. ახლაც იტყვიან, რომ ჩვენ „ჯაშუშები“, ჩვეის დაქირავებული აგენტები“ და, გამცემლები“ ვიყავით? სეითი გაეცნო დოკუმენტებს, სეითი დაეყარა ფაქტებს, ჩვენ კი ინსტიტუტურად ვგრძნობდით ვგრძნობდით რას აცეთებდა არაღვგარული მენშევიკური ცეკა ჩვენ ვიკოდით, რომ მენშევიზმი ასცდა მარქსისტულ-სოციალისტურ გზას და მხოლოდ „მთელი ერის საქმეს აყეთებდა“, ჩვენ ის დანამდვილებით ვიკოდით და რევოლუციონურმა სინიდიანმა გადაგვადგმეინა აგვისტოს ისტორიის ნაბიჯები. სეითის ჩვენთან მოსვლაზე ყოფილ მენშევიკთა ორგანო „სიმართლის ხმა“ სწერს: „ვეთილი იყოს თქვენი მოსვლა... ჩვენც ველით საქართველოს, სოც.-დემოკრატიულ პარტიის მამამთავრის ნ. ჯორდანიას დაბრუნებასაც.“ ჩვენი ღრმა რწმენით ეს ფაქტიც მოხდებდა, ნოე აკრდანიას შეისმენს „ამავე ხელით ნარწვევი აკანიდან გამოსულ მუშათა კლასის ხმას და დაბრუნდება“. ნოე დაახწევს თავს ქართველი ხალხის მიერ შეგინებულ და გარიყულ კამაროლას, ნოე აუცილებლად დაგვიბრუნდება! დამაშინ ვაი იმათ, ვინც ვაისტიარეს ხელი იღ. გიორგაძის მუშური სისხლში. ან კიდევ ფიქრობენ რეაქციონურ მუშაობის გაკრძელებას!

ნეტავი თუ იყოს იმაზე უფრო ტკბილი და სასიამოვნო აღამიანისთვის, როცა შენი სინდისის წინაშე მართალი ხარ, როცა საკუთარი ინტერესებს საერთო, სახალხო ინტერესებით დაარდილავ. ასეთი სიამოვნება უნდა იგრძნოს აგვისტოს ყრილობის მომწვევეებმა, ასეთი სიამოვნება უნდა ვანიციდენ ყველა სინი, ვინც ამ ყრილობის გარშემო მონაწილეობა მიიღეს, ვინც ამ ყრილობას დაესწრენ და ვინც დღემდე მისი დაღვნილებების განმტკიცებაზე ზოუნავს.

შ. გომართელი.

25 თებერვალი თელავში

სამი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოში დაიშხხრა მენშევიზმის ტახტი და მის ნანგრევებზე აღმოცენდა მუშური-გლეხური ხელისუფლება.

რუსეთის მუშათა კლასმა საბჭოების ხელისუფლება იგემა 1917 წლ. 25 ოქტომბრის (7 ნოემბერს). მხოლოდ საქართველოსამ კი თითქმის სამ წელიწად ნახევრის შემდეგ.

თუ რა გაკეთდა ზემოხსენებულ ხნის განმავლობაში ბუმბერაზ რუსეთში, ეს მრავალჯერ ყოფილა აღნიშნული ვახუთის ფურცლებზე, მხოლოდ რა კეთდებოდა აქ, პატარა კვლულ საქართველოში და რა პოლიტიკას ადგა მენშევიკური მთავრობა?

საქართველოს გლეხი, მუშა, რომელიც ჯერ 1900—1 წლ. ჩართული იყო რევოლუციონურ მოძრაობაში, აი ქო მშრომელი კლასის სრულიად მოსწყდა პოლიტიკურ საქმიანობას და გულჩაუთუქული ჩაება შოენინიზმის მწვავე ფერხულში და აყეთებდა იმას, რასაც უბრძანებდა სახალხო გეარდიის შტაბი და „დემოკრატიული მთავრობა“...

ვის არ ახსოვს ის სისხლიანი დღეები თა-

ძ. თელავი. სამგლოვიარო საღამო ამხ. ლენინის გარდაცვალების ბამო.

კვირას 14 თებერვალს, სილ. 6 საათზე მე-III შრომის სკოლის დარბაზში, VIII ჯგუფის მოწვეფთა ინიციატივით, გამართული იქნა სამგლოვიარო სილამო ამხ. ვლადიმერ ილიას-ძე (ულანიოვ) ლენინის გარდაცვალების გამო, რომელსაც დაესწრო მრავალი მოწაფენი და მასწავლებლები.

თრგმ-ჭარბოვებულა და სომეხ-ჭარბოვებულა შორის და სხვადასხვა...

არ მენშევიზმის „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“ დევიზის მოტრფილეთა მთელი პოლიტიკა, მათი სულისკვეთება, მათი „სოციალისტური აღმშენებლობა“ (sic!). გარდა ამისა, ისინი გვერდში ამოუდგენ ვეროპის იმპერიალისტებს, მუშათა კლასის მოსიხბულე მტრებს, და როგორც „ორტოდოქსალურ მარქსისტები“ (sic!). შეაკრიბო საშვედრო-სასიკოცხლო ბრძოლის ნაცვლად—პარლანეტში და დამფუძნებელ კრებაში მინეკენებათ, ლაქიბით გარდაიქმენ ყველა ჯურის ნაციონალ-შოგინისტების, კაცქამია კედია-ვეშაპელების და ცხადად თუ ფარულად ცხოვრებაში ატარებდნენ მათ მიერ შეზღუდვებულ, ნაკარნახევ ბმებებს...

საკმარისია საიუსტიტრაიოდ მოვიყვანოთ მიწის რეფორმის საკითხი... ერთი მითხარით რა სოციალისტურ ხელისუფლებით უნდა ვაღიაროთ ის მთავრობა, რომელმაც მიწის რეფორმაც კი ვერ შესძლო გაეტარებია ცხოვრებაში: ქართლში მაგალითად—შეიდი დესეტინა—ნორმად იქცა 25—30.

ამასთანავე სახელმწიფო აპარატის სისუსტით სარგებლობდა როგორც თავიდი, აზნაური, მიღველი და ბჭრი, აგრეთვე მიწის მზომევი ინჟინერი, რომლებიც უფრო ზრუნავდნენ მარცხენა ჯიბის გასჭელებას, ვიდრე სახელმწიფოს გაჯანსაღებაზე და კულდმოკრილ რეფორმის ცხოვრებაში გატარებაზე.

ასე სამი წელი შესრულდა, რაც საქართველოში ნაცვლად დემოკრატიული ქაიბის, მუშურ-გლეხური წესწყობილება არსებობს.

სამი წელია საქართველო გამოუსტლდა ხელიდან იმპერიალისტურ ბანაკს და უაღრესად სოციალისტურ საბჭოების კავშირში შევიდა.

მაშასადამე ქართველ მუშამ, გლეხმა ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხა, ფეხქვეშ გასათელა ის აზრი—„აზიის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები მიჩიენია“.

ამნაირად საქართველოს მშრომელ მასამ თავის სიგრძე-სიგანით წამოჭრილი ალტერნატივა სამი წლის უკან კანონიერად და მიზანშეწონილად გადასჭრა.

სამი წელია, რაც ეკონომიურ და პოლიტიკურ პეტურბაციასაც ბოლო მოუღო და ცხოვრება ნორმალურ პირობებში ჩადგა.

მაშასადამე, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მთლიანი, პროლეტარული ოჯახი, ვისაც საბოლოოვ მიზნის განმარცხილებისათვის მომავლინებლად მიჩანია ყოველივე უთანხმოება მუშათა რიგებში, ვისაც კიდევ შერჩენია რეფოლიუციონური სისხლი, ისინი აუცილებლად უნდა გვერდში ამოუდგენ კომუნისტურ პარტიას, მუშათა დიქტატურის პრინციპის მთლიან კომპლექტში და საბჭოთა საქართველო შეურყვეველ ჰყო სამუდამოდ.

მაშ, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მესამე წლის დღესასწაულს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს მე-3 კომინტერნს, რომელიც ზეიმდღევანელობას უწყეს ამ დიად საქმეს.

ნარად ხსენება იმ დახუცილ ამხანაგებს, რომელნიც ზეარაკად გახდნენ საქართველოს გასაბჭოების დიად სარბიელზე.

იგ. დავითიანი.

25 თებერვალი ქ. ზიათუხაში.

სალამოს 6 საათზე ამხ. გამეზარდაშვილი ხსნის მიტინგს ქიათურის თეატრში, მიტინგს ბევრი ხალხი დაესწრო, ც. კომიტეტის და მთავრობის სახელით მიტინგს მიესალმა ამხ. ტალახაძე. მან აღნიშნა წითელი ჯარის ღვაწლი 6 წლის განმავლობაში და ის თავდადება და ბრძოლა, რომლითაც შეიჩინა მან საბჭოთა ხელისუფლება. გაუმარჯოს წითელ ჯარს და მის ბელადს ამხ. ტროცკის—სთქვა მან. (მხურვალე ტაში. მუსიკა. სიმღერა). ამხ. სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სულთა მხუთავი ბურჟუა კაპიტალისტების ლაქიების მენშევიკების ტაქტი დამეხო და განთავისუფლდა საქართველოს მუშები და გლეხები. ის დიდხანს შეჩერდა ამ საკითხზე და ფაქტებით ხელში დაამტკიცა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა ამ სამი წლის განმავლობაში. ბოლოს შესძახა: გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავსო! მიტინგის მონაწილენი აპლოდისმენტით ფარავენ ამ ხმას; ამის შემდეგ მიტინგს მიესალმა ამხ. კ. თოფაძე 18 ათასი ყოფილი მენშევიკების სახელით და მიულოცა 6 წლის თავი წითელი არმიისა, რომელმაც ვაუკაცურად დაანგრია ფოილოში აღმართული ჩინური კედლები და გაახთავისუფლა საქართველოს მუშები და გლეხები, ვაშა წითელ ჯარსო. (მხურვალე ტაში „ინტერნაციონალის“ სიმღერა, მუსიკა).

ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავს. ამ სამი წლის წინეთ ბევრი ჩვენგანი ევბრძოდით მას. არ ვიცოდით თუ საბჭოთა ხელისუფლება ასეთი

იქნებოდა, მაგრამ დღეს ყველა დაერწმუნდით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მხოლოდ ააყვავა ჩვენი ქვეყანა და გააუმჯობესა მუშების მდგომარეობა, როცა ჩვენ ვაღარებთ ძეგლს ახალს, ჩვენ აშკარათ ვხედავთ, რომ დღეს გაცილებით უკეთესად არის წარმოება განვითარებული, ვიდრე ეს იყო წინეთ, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების 3 წ. თავს. ხალხი ვაშას ძახილით და აპლოდისმენტით ფარავს მომხსენებლის ხმას. ამის შემდეგ ილაპარაკა რამდენიმე ამხანაგმა. 2 საათზე მიტინგი დაიხურა.

თოფაძე.

შორაკანი

27 თებერვალს შორაკანის მუშათა კლუბში შესდგა ყოფილ მენშევიკების კრება. კრებას დაესწრო ორასი ყოფილი მენშევიკი. ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. თოფაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა მენშევიკების ბანდიტურ მოქმედებას.

კრებამ დაადგინა: ც. კ. არსებულ კომისიის მუშაობა იცნოს დამაკმაყოფილებლათ, რაც შეეხება მენშევიკების არალეგალურ ბანდიტურ ბრძოლას, კრება წყველით და კრულით იხსენიებს არალეგალურ ცეკას და მის გაგრძელებას შემოკრებილით და ზოხლს უკვადებს მათ.

ასე უკახუბა მათ მოქმედებას გუშინდელ მათმა ამხანაგებმა, როცა ისინი გაეცენნენ მათ საქმეებს საგმირით.

ისარი.

პოლიტიკური მიმოხილვა

უკანასკნელ ხანებში დეკემბრის თითქმის ყოველ-დღე სასიამოვნო და საბჭოთა კავშირისათვის სასარგებლო ცნობები მოაქვს.

რაკი ინგლისმა გაბედა და იცნო საბჭოთა კავშირი იურიდიულად, სხვა სახელმწიფოები ცდილობენ ერთი მიორეს გაუსწრონ საბჭოთა კავშირის ცნობაში.

და ჩვენ გვაქვს ორი ახალი ცნობა: ერთი ნორვეგიის მიერ და მეორე კი ავსტრიის მიერ. ნორვეგია არ არის თავისთავად დიდი პოლიტიკური და ეკონომიური ძალის სახელმწიფო, მაგრამ პატარა სახელმწიფოებიდან მან პირველად იცნო საბჭოთა კავშირი პოლონეთის შემდეგ და ამას უსათუოდ აქვს „წამქეზებული“ მნიშვნელობა სხვა სახელმწიფოებისათვის.

ავსტრიის მთავრობის თავმჯდომარემ პოლმა საბჭოთა კავშირის სავ. საქმეთა სახ. კომისარის მოადგილეს ამხ. ლიტვინოვს ჩააბარა ნოტა.

ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის შორის დიპლომატიურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ ავსტრიის მთავრობა სურვილს გამოსთქვამს, რომ ახლო მომავალში დაინიშნოს საბჭოთა კავშირის დიპლომატიური მისია ვენაში და დაიწყოს მოლაპარაკება ავსტრია-რუსეთის ხელშეკრულების ცალკე მუხლების შეცვლის შესახებ.

სეთის ხელშეკრულების ცალკე მუხლების შეცვლის შესახებ.

ავსტრიამ საგანგებო ელჩად და სრულუფლებიან მინისტრად საბჭოთა კავშირში დანიშნა პოლი.

რუს. დეპ. სააგენტოს თანამშრომელს ავსტრიის საქმეთა რწმუნებულმა პოლმა განუცხადა, რომ მეგობრული დამოკიდებულება ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის შორის მალე აღსდგებო. გარდა ნიეთიერი მოსაზრებისა, სთქვა შემდეგ პოლმა,—ამ ორ ქვეყანას აახლოვებს ერთმანეთთან აგრეთვე ურთიერთ თანაგრძობა, რადგან მათ ორივემ წამოაყენეს ლოზუნგი „მშვიდობიანობის დაცვა“, ჩვენსა და საბჭოთა რესპუბლიკის შორის კავშირის განმტკიცება დამოკიდებულია ურთიერთ ნდობაზე და ამას მეც ჩემს მთავარ ამოცანად დავისახავო.

აშკარაა, რომ ეს ცნობა არავითარ წინასწარ-პირობებს არ აყენებს. იმდენად განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, რომ უცხო სახელმწიფოების ცნობა არ იწვევს განსაკუთრებულ სიხარულს. ამ ცნობას მაშინ შეეძლო აღფრთოვანების გამოწვევა, რომ ის მომხდარიყო სამოქალაქო ომის და შიმშილობის პერიოდში. დღეს კი, როგორც ამას ბუჟუაზიული პროფესორი ვო-

ბზში (პრაგის უნივერსიტეტის პროფესორია) სწერს:

ევროპა დიდი ხნის წინააღმდეგობის შემდეგ იძულებული გახდა ეცნო კომუნისტური წყობილების კანონიერებაო, საბჭოთა კავშირი, თავის ბრძნული საგარეო პოლიტიკის წყალობით განმტკიცდა მაშინ, როცა ევროპა იშლებოდა. ანტანტა, როგორც პოლიტიკური ძალა, აღარ არსებობს, ერთა ლიგა უღონოა. საბჭოთა კავშირის რომ მეტი ფული ჰქონდეს, ის მთელ ევროპაზე გაბატონდებაო.

* *

ჩვენში საზოგადოების ზოგიერთ წრეებში იყო იქეი, რომ მაკდონალდის ცნობა არ ვრცელდება ამიერ-კავკასიის მიწა-წყალზეო. ამ ქორეების ავტორებს და დამჯერებლებს ვერ წარმოუდგენიათ მაკდონალდი როგორ გვიღალატებდაო, მაგრამ ეს „ღალატი“ ფაქტი იყო.

ინგლისის პარლამენტში მაკდონალდს შეეკითხვნ: რომელ მიწა-წყალზე ვრცელდება საბჭოთა კავშირის ძალა-უფლებაო. შეკითხვაზე მაკდონალდმა შემდეგი განაცხადა: ინგლისის მთავრობა სცნობს, რომ საბჭოთა ძალა-უფლება ვრცელდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებზედაცაო.

ამ პასუხით მენშევიკი მაკდონალდი პირდაპირ ბურთსა სწრის პირში საქართველოს მენშევიკებს და საერთოდ ინტერვენციის მომხრეებს.

* *

ინგლისის ბურჟუაზიას არ აძინებს ვალეების განაღების საკითხი. ინგლისის მრეწველებმა ამას წინეთ განსაკუთრებული წერილით მიმართეს მაკდონალდს:

თავის წერილში მაკდონალდისადმი ინგლისის მრეწველთა დედეგაცია მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან რუსეთის ძველ მთავრობის მიერ, როგორც ინგლისის მთავრობის, ისე კერძო პირებისაგან აღებულ ვალეების გადახდას, რევილიუციის დროს პირადად დაზარალებულ ინგლისელ მოქალაქეთა ზარალის ანაზღაურებას და კომისიის დანიშვნას ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ფედერაცია თავის წერილში ეკითხება მთავრობას, ცნობს თუ არა იგი, რომ რევილიუციამდე დადებულ ყველა ხელშეკრულებას საბჭოთა მთავრობის ცნობის შემდეგ, ისევე ძალაში შედის და აგრეთვე მოითხოვს თუ არა ინგლისის მთავრობა საბჭოთა მთავრობისაგან ამ ხელშეკრულების აღიარებას. ფედერაცია მოითხოვს მის წარმომადგენელთა დაშვებას მომავალ ინგლის-რუსეთის კონფერენციაზე.

მრეწველების ამ მოთხოვნას საბჭოთა კავშირი უპირდაპირებს შემდეგს:

„ინტერვენციის მსხვერპლთა დამხმარე საზოგადოებამ“ მიმართა მოწოდებით საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, რომელშიაც ნათქვამია რომ უცხოელი სახელმწიფოები მოითხოვენ საბჭოთა კავშირისაგან რევილიუციის დროს რუსეთში უცხოელ მოქალაქეების მიერ დაკარგულ ქონების ანაზღაურებას. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოელ მრეწველებს, მემამულეებს და კაპიტებს სურთ რესპუბლიკის ხელში გადასვლა

მიწების და მეფისათვის მიცემულ ფულის დაბრუნება.

მარტო ინგლისელები ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირის მათი 1. 800.000.000 მანეთი ოქროთი მართებო. ვინაიდან ვადასახადის გადამხდელი გლეხობა ჩვენში 12 მილიონს შეადგენს, გამოდის რომ თითოეულმა მათგანმა 800 მან. უნდა ვადასახდოს ოქროთი. საბჭოთა კავშირის, რასაკვირველია, ამაზე არ შეუძლია დათანხმდეს. საბჭოთა მთავრობა ეუბნება უცხოელებს: „თქვენ გვთხოვთ იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც თქვენ რევილიუციამ მოგაყენათ, ჩვენ კი მოვითხოვთ იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მიყენეს რუსეთის მოქალაქეებს თქვენმა ჯარებმა და თეთრმა გენერლებმა“. ამ წინადადებას ალბათ მიიღებენ. ამიტომ ყველა მოქალაქეებმა უნდა აცნობონ ჩვენს საზოგადოებას მათი ზარალი ნათესის გაუფუჭების, დანგრეული სახლების, გატაცებული სიმიდიდრის, ფულის, ნივთების და სხვაგვარი ზარალის სახით, რომელიც მათ ნახეს უცხოელების, ან თეთრგვარდიელებისაგან.

* *

25 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში საბჭოთა კავშირის ც.ა. კომიტეტის თავმჯდომარეს აშხ. კალინინს იტალიის ახალმა ელჩმა გრაფმა მაკინომ ჩააბარა რწმუნების საბუთები. იტალიის ელჩმა წარმოასთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა პოლიტიკური ეკონომიური დამოკიდებულობის აღდგენა ორივე სახელმწიფოთა შორის.

საპასუხო სიტყვაში აშხ. კალინინმა აღნიშნა, რომ ჩვენ შორის პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულობის აღდგენით ახალი ხანა იწყება და ის სულ მალე მოიტანს დადებით შედეგებსო.

* *

ერთი კონსერვატორთაგანი შეეკითხა მაკდონალდს, მოითხოვს თუ არა ინგლისის მთავრობა წითელი ჯარის გაყვანას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან. რათა იქაურ მცხოვრებთ თვითგამორკვევის საშუალება მიეცესო. მაკდონალდმა უპასუხა, რომ მას არაფერი შეუძლია დაუშვროს თავის უწინდელ განცხადებას ამ საკითხის შესახებ.

შეკითხვის შემტანი კონსერვატორი მაინც დაეინებით მოითხოვდა განმარტებას, მაგრამ თავმჯდომარემ ის გააჩერა და უთხრა: „ჩვენ სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში არ ჩვევრევიო“. პარლამენტმა პირველად იხმარა ეს ტრადიციული ფორმულა საბჭოთა კავშირის მიმართ.

* *

გარეშე საქმ. სახ. კომ. მოადგილემ აშხ. ლიტინოვმა პრესის თანამშრომლებს განუცხადა, რომ იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებმაც ჩვენთან დიპლომატიური კავშირი აღადგინეს, განსაკუთრებული ალაგი ავსტრიას უჭირავსო. ავსტრიის მთავრობამ საბჭოთა მთავრობა ჯერ კიდევ 1918 წელს იცნო და ის, მართალია, როცა ამბობს, რომ ამ ქაზად მხოლოდ

დიპლომატიურ დამოკიდებულების აღდგენაზე შეიძლება ლაპარაკი და არა ხელახლა იურიდიულ ცნობაზეო.

საბჭოთა კავშირის მთავრობა და ერები ერთხილად ადვენებენ თვალყურს ავსტრიის ხალხის ყოფა-ცხოვრებას და მძიმე მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა იქ მასთვის თავზე მოხვეულ მძიმე საზავო პირობების გამო. ავსტრიის მთავრობის გარეშე პირობები უშლიდნენ ხელს, თორემ ის ამდენხანს აიღადენდა ჩვენთან დამოკიდებულებას. ეს გარეშე პირობები ახლაც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. ამიტომ ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილება უფრო საყურადღებოა ჩვენთვის.


ჩვენ მივსალმებით მას. დამოკიდებულების აღდგენა ვენამტკიცებს ჩვენ შორის ეკონომიურ კავშირს. ბოლოს აშხ. ლიტინოვმა ხაზი გაუსვა ავსტრიის წარმომადგენლის პოლის მოღვაწეობას.

* *

რუს. დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს აშხ. ლიტინოვმა იმ კითხვაზე, თუ რამდენად მართალია ხმები, თითქოს რუსეთ იტალიის ხელშეკრულების ხელის მოწერა შეუერხდაო, უპასუხა, რომ ეს ხმები სიმართლეს არ შეეფერება. ხელშეკრულება საბოლოოდ ხელმოწერილია და როგორც კი შესაძლებელი იქნება, ის დადასტურდებაო.

იტალიასთან მოლაპარაკება თვის წინედ დაიწყო, როცა ევროპის არც ერთ სახელმწიფოს ცნობის შესახებ ლაპარაკი კი არ უნდოდათ. ჩვენ მაშინ იტალიას საზღვაო საეკტრო ხელშეკრულებაში რამდენიმე შეღავათი მივეციო. თუმცა მდგომარეობა მის შემდეგ ჩვენს სასარგებლოთ შეიცვალა, მაგრამ შეღავათს ჩვენ უკან აღარ წაივლიათ. სინამდვილეში იტალიას ჩვენ ყველაზე პირველად შეუთანხმდით, მუსოლინის რამოდენიმეჯერ განცხადებამ, რომ ის მზადაა დაუყოვნებლივ იცნოს საბჭოთა კავშირი, გამოიწვია ჩვენი ცნობა დანარჩენ სახელმწიფოების მიერ.

ბოლოს ლიტინოვმა სრული იმედი გამოსთქვა, რომ მალე ყველა სახელმწიფო ვეიცნობს და ამას ახლა არაფერი არ უშლის ხელსო.



ქ რ თ ნ ი კ ა

ამ უამად სწარმოებს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია, რომელიც იხილავს საკითხს სახელმწიფო ენის შესახებ და აგრეთვე მიწის და სატყეო კოდექსების პროექტებს.

25 თებერვალი საქართველოს ვასაძკოების 3 წლის თავი მთელ საქართველოში ზეიმით ჩატარდა. ყველგან მოეწყო კრებები და საღამოები, რომლებზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენებები 25 თებერვლის შესახებ.

შეცდომის გახსნარება. „სამაროლის ხმას“ № 15 წერილი რედაქციის მიმართ მოწერილია შეცდომით გრავოლ მაქავარიანის მიერ უნდა იყოს: ერასტი მაქავარიანი.

→ **ლტოლვა** კომპარტიის რიგებისაკენ თანდათან ძლიერდება, როგორც ჩვენში, საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა ფედერაციაში.

სხვა და სხვა ამბები:

→ **მოსკოვში** ვერცხლის ფული უკვე გამოვიდა ხმარებაში.

→ **ადგილებზე** ვერცხლის ფული შევა ხმარებაში დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, როცა საქმით რაოდენობა ვერცხლის ფულითა იქნება დამზადებული.

→ **ავტრიაშიც** იცნო იურიდიულად საბჭოთა კავშირი. მან უკვე დანიშნა თავისი ელჩი საბჭოთა რუსეთში.

→ **იაპონიის** გარეშე საქმეთა მინისტრმა მაცუმი განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს და დიპლომატიური კავშირის აღდგენა იაპონიასა და საბჭოთა კავშირის შორის აუცილებელია ამ ორი ქვეყნის ეკონომიური და გეოგრაფიული სიახლოვის გამო.

→ **ამხ. რიკოვი** საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მოკლე ხნით დასასვენებლად მოგზაურობა კავკასიაში.

→ **პარლამენტში** შეიკითხავე: ვრცელდება თუ არა საბჭოთა ძალა-უფლება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებზე, მაკდონალდმა უპასუხა, რომ საბჭოთა ძალა-უფლება ამიერკავკასიის რესპუბლიკებზედაც ვრცელდება.

→ **ერთ-ერთი** კონსერვატორი შეეკითხა ავრსთევი მაკდონალდს; მოითხოვს თუ არა ინგლისის მთავრობა წითელ არმიის გაყვანას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან რათა მოსახლეობას მიეცეს თვითგამორკვევის საშუალება. მაკდონალდმა უპასუხა, რომ მას არაფერის დამატება არ შეუძლია სხვა თავის განცხადებისათვის ამ საკითხზე.

კონსერვატორი დაიწვინებოთ მოითხოვდა გარკვეულ პასუხს, მაგრამ ის შეაჩერა სპიკერმა, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში“.

→ **მეორე ინტერნაციონალის** რეზოლიუცია ამბობს: „სოციალ-დემოკრატიული პარტიები ვალდებული არიან... განავითარონ პრობაგანდა საქართველოს განთავისუფლების სასარგებლოთ საბჭოთა ოკუპაციისაგან“. ნეტარ არიან მორწმუნენი!

→ **ინგლისი** ვაზეთების ცნობით ემზადება საბჭოთა კავშირისათვის სესხის მისაცემად. ფიქრობენ, რომ სესხი გამოყენებულ იქნება ნაწილობრივ ინგლისის წარმოებისათვის საჭირო ნივთების შესასყიდათ რუსეთში.

→ **საფრანგეთსა** და სამხრეთ-სლავიის შორის სწარმოებს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

→ **უახლოეს** ხანში დაიწყება მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და ინგლისის შორის საბოლოო ხელშეკრულების დასადებად.

→ **მოსკოვიდან** მიღებულ დეპრესის ცნობით ახლო-მომავალში მუშა-მოსამსახურეებს ხელფასის ანგარიშში მისცემენ ვერცხლის ფულს.

→ **ინგლისის** მთავრობის განცხადებას ვერსალის ხელშეკრულების გადანიშნვის შესახებ დიდი აღფრთხილებით შეხვდა საფრანგეთის ბურჟუაზია.



წერილები რედაქციის მიმართ.

ჩვენ წავიკითხეთ სეით დედარიანის წერილი, რომელმაც გამოაფხიზლა ყველა ისინი, რომლებიც იყვნენ მისი გზის მიმდევარი. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ გერმანიაში საბოლოოთ გაიკატრდა მენშევიზმი და ყოველგვარი ჯურის სოციალ „შემგუებლები“. მშრომელმა ხალხმა და განსაკუთრებით საქართველოს რევოლიუციონურ პროლეტარიატმა ერთხელ კიდევ და, ვფიქრობთ, უკანასკნელათ გამოსცადა სოციალ-დემოკრატიული პარტია, გამოსცადა და დარწმუნდა, რომ მენშევიკურმა პოლიტიკამ ანუ დემოკრატიული გზით სულამ, არამც თუ ვერ დაიხსნა ხალხი უბედურებისაგან, არამედ უფრო მძიმე ბორკილი დაადო მას და ხალხი მონათ და ყმით გახადა ბურჟუაზიისა. ამიტომ, როდესაც ვხედავთ მენშევიკური პარტიის გახრწნას და ღალატს ხალხის მიმართ, მე მათ ჩამოვმორდი 1917 წ. მე დავგრძი პარტიის გარეშე და არავითარი საერთო მათთან არ მქონია. პირიქით, ვიყავი მოპირდაპირე მტერი მათი, რამდენმა ხანმა განვლო, იმდენად შეტათ შევეთვისე კომუნისტურ პარტიას, რომლებშიაც მე ვპოვე ნამდვილი მუშათა კლასის ინტერესების დამცველები. დღეიდან მე, სრულაით ვიზიარებ კომუნისტურ პარტიის იდეებს და ვდგები პროლეტარული დროშის დიკტატურის ქვეშ და დიკს ვდებ მე ამხ. კომუნისტების წინაშე, რომ მთელი ჩემი არსებით ვიბრძოლებ მათთან უქეთვის მომავლისათვის.

ნინო ა. ყაჭეიშვილი.

მე ყოფილი სოც. დემ. მუშ. (მენშევიკების) პარტიის წევრი, ვაგეცანი რა ამხ. სეით დედარიანის წერილებს, დავრწმუნდი: მენშევიკური პარტია არ ყოფილა სწორი გზის მატარებელი. ამისათვის ვსწყვეტ საბუდამოდ ყოველგვარ კავშირს ხსენებულ პარტიასთან და სრული ჩემი შეგნებით ვიზიარებ ამხ. სეით დედარიანის მიერ გახეთ „კომუნისტში“ (№ 37 12 თებერვ. 1924 წ. მოთავსებულ წერილში არჩეულ გზას. ფიცსა ვსდებ მთელი ჩემი ენერგიით ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

ა. ჯორბენაძე.

თუმცა გვიან, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ ვტოვებ მოლაღატე მენშევიკურ პარტიას, რომლის მოქმედება მიმართული იყო მუშათა კლასის წინააღმდეგ, ამის ფაქტები უკვე ბევრი არის, და თუ მოიძებნება ვინმე ურწმუნო თომები, უნდა დარწმუნდენ და დადგენ მე-მე კომინტერნის პლატფორმაზე და შე-

ურთოდენ 25 აგვისტოს ყრილობის დადგენილებებს.

დათიკო გიორგისძე ბახტაძე.

მე 1915 წლიდან ვეკუთნოდი სოც. დემ. მუშათა პარტიას (მენშევიკებისა). 1917—18 წლ. ვმუშაობდი ბორჯომის რაიონში, ვიყავი: რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის თავჯდომარე, მუშათა საბჭოსი, საბჭოებად-მასკომიტეტის, სახალხო ვრარდის საოლქო შტაბის პრეზიდენტების წევრი, რწმუნებულთა სამხედრო მინისტრის მთავარ რწმუნებულთა სამხედრო მინისტრის მოსაწესრიგებლათ (ბაკურიანი 1918 წ.) და ვლენულობდი აქტიურ მონაწილეობას სხვა ორგანიზაციებშიც. 1919 წ. ვიყავი ზესტაფონის სამაზრო პარტიულ კომიტეტის და რკინის გზის კავშირ. გამგეობის წევრად. 1922 წლიდან არავითარი აქტიური მონაწილეობა არ მიმიღია პარტიის მუშაობაში. შენშევიკების მიერ ვერაგულად ამხ. ი. გიორგაძეს მოკვლამ, რომელთან ერთად ვმუშაობდი ქ. ბაქოში, ვანო ხმალიძის (ჩვენ ერთად ვმუშაობდით ბორჯომში) მიერ ფარდის ახდამ მენშევიკების ცკ-ს მოქმედებაზე და ცკ-ს თავჯდომარე სეით დედარიანის პარტიიდან გასვლამ, ჩემში მოახდინა სულიერი გარდაქმნა და მე შეუძლებლად მიმაჩნია ვაჭარო სახელი მენშევიკური პარტიის წევრობის.

სავსებით ვიზიარებ და ვადგივარ საბჭოთა ხელის უფლების პლატფორმაზე ჩემი პირადი სურვილით და არა იძულებით ოფიციალურად და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არა მაქვს არავითარი საერთო მენშევიკურ პარტიასთან, რომლის სახე და სულისკვეთება გამოაშკარავდა, და ამით უერთდები საქართველოს ყოფილ მენშევიკთა კონფერენციის რეზოლიუციას. ურჩევ სხვა ამხანაგებს: დაანებონ თავი ბრუნდგზით სიარულს და შეუდგენ რევოლიუციონურ მუშათა და გლეხებთან ერთად მსოფლიო კაპიტალთან ბრძოლას, დაქვირლ პოზიციების გამაგრების საქმეს, მით უმეტეს, რომ მენშევიკების გზის უკუღმართობა დამტკიცდა აუზრებელ და აღმაშფოთებელ ფაქტებით: მტკიცედ მწამს, რომ ერთად ერთი რევოლიუციონური მსოფლიო მუშათა და გლეხთა პარტია არის რ. კ. პ., რომლის-დროშის ქვეშ უნდა დადგეს ყოველი მშრომელი კაპიტალთან ბრძოლაში.

საშინელი ოჯახური მდგომარეობა არ მძღევედა საშუალებას მიმელო მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამით არის გამოწვეული დაგვიანებული განცხადება.

ვლად. ვაბილაია.

- სარედაქციო კოლეგია:
- ა. ფარინევი.
 - ა. რუხაძე.
 - კ. თოფაძე.
 - კ. შენგელია.
 - გ. ვარდოიანი.